# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 15 ნოემბერი 2007 №265 (3188) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩვენი ყურებში სპარსეთის ყურისკენ

# საქართველო დო-ჰა-ერში

# საპეკინო ქუდში 18 თავია



ინტერვიუ სეოკ-ის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილთან მე-14 გვერდზე

## გვინდა ორმოცი

— დაახლოებით ასეთივე მაჩვენებელი გვქონდა ათენისა და სიდნეის ოლიმპიური თამაშების შესაბამის პერიოდში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს სპორტსმენებს იმ დროისგან განსხვავებით ახლა წარმოუდგენლად უკეთეს პირობებში უხდებოდათ სამზადისი, გაცილებით მეტ ლიცენზიას ველოდით.

## არადა, დრო გადის

— სამწუხაროდ, ოქტომბრიდან შეჩერებულია სპორტსმენთა და მწვრთნელთა სტიპენდიების გაცემა, ვეტერან ოლიმპიელთა და ჟურნალისტთა პენსიების გაცემა, შეჩერებულია კიდევ რამდენიმე პროექტი. რაკი ფინანსური გარანტიები აღარ გვაქვს, ამ ეტაპზე შეჩერებულია მოლაპარაკებები უცხოურ კომპანიებთან, სპონსორებთან, მომწოდებლებთან, გადამყვანებთან, არადა, დრო აღარ ითმენს...

## სომეხი სპორტსმენი, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდება, მილიონ დოლარს მიიღებს. და ქართველი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დარჩა მხოლოდ სირაძე
## კანკავა შოტლანდიურ განწყობას გვპირდება



გაფიჩი კოპიტაძის ფოტო

**საქართველოს** ნაკრები დღეს უკვე ყატარში იქნება, გუშინ კი 16 საათზე ისევ „მიხეილ მესხზე" ივარჯიშა გაცილებით დატვირთულად და მრავალფეროვნად, ვიდრე გუშინწინ.

ნაკრებს შეუერთდნენ მალხაზ ასათიანი და ლაშა სალუქვაძე, ხოლო დავით სირაძეს გვიან ელოდნენ თბილისში. დაგვიანების მიზეზი მარტივია: მის „პადერბორნს" გუშინწინ თამაში ჰქონდა.

გუშინწინდელ ვარჯიშზე რალფ მინგე არ ჩანდა, გუშინ კი კლაუს ტოპმიოლერთან ერთად იყო „მიხეილ მესხზე" — ჯერ მინდორზე გახლდათ, მერე კი ტრიბუნიდან უყურებდა ორკარას.

ჯერ კვადრატები, მერე ფლანგიდან ჩაწოდებები, კომბინაციები, კუთხურები, კარში დარტყმები და ორკარა — ვარჯიში დაახლოებით საათნახევარს გაგრძელდა.

წვრთნის დასრულებამდე ათიოდ წუთით ადრე ზურაბ ხიზანიშვილი გასახდელში შევიდა. მუხლი ამტკივდა, თუმც იქვე გვითხრა, საშიში არაფერია, ხვალ ალბათ ვივარჯიშებო.

ნავარჯიშევს ჯაბა კანკავას გავესაუბრეთ, რომელიც, სავარაუდოდ, ყატართანაც და ლიტვასთანაც ძირითადში იქნება — რაც ჯაბამ შოტლანდიასთან ითამაშა, იმის შემდეგ სხვანაირად წარმოუდგენელიც კია ნახევარდაცვა მის გარეშე.

— ამხანაგური თამაში კია, მაგრამ ყატართანაც მოსაგებად ვიბრძოლებთ. კარგი შედეგი აუცილებელია. როგორც ვიცი, შეიძლება, მეოთხე კალათაში ვიყოთ კენჭისყრისას.

— **შოტლანდიასთან დიდი საბრძოლო განწყობით ითამაშა ნაკრებმა. გვპირდებით, რომ ყატართან და ლიტვასთანაც ასე იქნება?**

— ფეხბურთში დაპირება ცოტა ძნელი საქმეა. წინასწარ ტრაბახი, ნაღდად მოვიგებთ-მეთქი, არ მინდა. იმას კი ვიტყვი, რომ ნაკრებში მშვენიერი განწყობაა.

— **„დნიპროზეც" ვთქვათ: ხშირად ვერ ხვდები ძირითადში...**

— კარგ გუნდში ვთამაშობ, ნახევარდაცვაში ძლიერი ფეხბურთელები გვყავს და კონკურენციაა, თუმც თამაში მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული. თუ კარგ ფორმაში ვარ, მწვრთნელი არ მიკარგავს.

— **კლუბის შეცვლაზე ხომ არ ფიქრობ?**

— არა. ვფიქრობ, მალე ჩავჯდები „დნიპროს" ძირითადში.

**ილია ნანობაშვილი**

# სალიტვო პროცენტები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩატარდა გამოკითხვა: რამდენ ქულას მოიპოვებს საქართველოს ნაკრები 21 ნოემბერს ლიტვასთან მატჩში?

გამოკითხვაში 2030-მა ქომაგმა მიიღო მონაწილეობა, ხმები კი ასე გადანაწილდა: 3 ქულა — 90,74 პროცენტი, 1 ქულა — 5,71 პროცენტი, 0 ქულა — 3,55 პროცენტი.

### ინგლისი
**LDV VANS TROPHY**
**1/8 ფინალი**
ბრაიტონი 4:1 ჩელტენემი

### შოტლანდია
**I დივიზიონი**
**XIV ტური**
ლივინგსტონი 0:4 პარტიკი

### ესპანეთი
**თასის 1/16 ფინალი**
**I მატჩები**
ვალიადოლიდი 1:1 მურსია
პონტევედრა 1:0 სარაგოსა
მალაგა 0:0 რასინგი
ხერესი 0:1 უელვა
ლევანტე 2:1 ალმერია

### ბელგია
**II კლასი. XV ტური**
ტიენენი 0:0 ოსტენდე
კორტრაიკი 3:3 ნამური
სენტ ჟილი 4:1 გეელი
ბევერენი 3:0 ვაასლანდი
ანტვერპენი 3:1 ვიზორი
ტუბეკე 1:0 ლიერსი
დაინცე 2:1 ოუდ ევერლე

### პოლონეთი
**ლიგის თასი. IV ტური**
**C ჯგუფი**
ვიძევი 0:2 იაგელონია

### სლოვაკეთი
**თასის 1/4 ფინალი. I მატჩი**
ტატრანი 0:1 ტრნავა

### აზიის ჩემპიონთა ლიგა 2007
**ფინალი. საპასუხო მატჩი**
ურავა რედსი (იაპონია) 2:0 სეპაჰანი (ირანი) (1:1)

### კოპა სუდამერიკანა 2007
**ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი**
ამერიკა (მექსიკა) 2:0 მილიონარიოსი (კოლუმბია) (3:2)



გაფიჩი კოპიტაძის ფოტო

# ფავორიტობა იოლ მოგებას არ ნიშნავს
## გიორგი შაშიაშვილმა სხვა დატვირთვაც დაინახა

ყატართან და ლიტვასთან მოახლოებული მატჩების წინ კლაუს ტოპმიოლერი საგონებელშია — იშვიათობაა, როცა დაცვაში ხუთი ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, არავინ იცის, რომელს მიანიჭებს უპირატესობას. ერთი კია, კალაძე-ასათიანის წყვილს არ დააშორებს, ხიზანიშვილ-შაშიაშვილ-სალუქვაძის ტრიოდან კი არჩევანი უნდა გააკეთოს. თუ ხიზანიშვილი და სალუქვაძე შედარებით გამოცდილები არიან, **გიორგი შაშიაშვილს** ზურგს სათამაშო პრაქტიკა უმაგრებს. ის ავსტრიულ „შტურმში" თამაშობს და საკმაოდ კარგადაც — ოთხჯერ ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

შაშიაშვილს გუშინ ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ...



გაფიჩი კოპიტაძის ფოტო

— როგორი განწყობაა გუნდში?

— მშვენიერი. საბრძოლველად ვემზადებით. შოტლანდიასთან მოგება მართლაც დიდებული მუხტი იყო. იმ დღეს ყველამ მაღალ დონეზე ითამაშა და ღირსეულად მოვიგეთ. მთელი ევროპა ჩვენზე ალაპარაკდა. ამიტომ ლიტველებთან ფავორიტებად უფრო ჩვენ ვითვლებით. თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოგება იოლი იქნება. თითოეულმა ფეხბურთელმა ყურადღებით უნდა შეასრულოს მწვრთნელის დავალება. ამ მატჩის მოგებას იმიტომაც აქვს მეტი დატვირთვა, რომ კენჭისყრისას ერთი კალათით მაღლა ავიწევთ, რაც საშუალებას მოგვცემს, უკეთეს ჯგუფში მოვხვდეთ.

— გამოდის, მომავალს ოპტიმისტურად უყურებ...

— რატომაც არა?! ახალგაზრდა გუნდია, გამოცდილი მწვრთნელი გვყავს. შოტლანდიასთან მატჩმა დაგვანახა, რომ სწორი თამაშით და დავალებების შესრულებით ჩვენც შეგვიძლია მოგება.

— ავსტრიულ ამბებზეც ვთქვათ...

— გუნდიც კარგად თამაშობს და მისი თითოეული ფეხბურთელიც. მარტო მე ოთხჯერ დამასახელეს ტურის სიმბოლურ ნაკრებში, კარგი პრესა მაქვს. გუნდი კი უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის. ცხრილში ისეთი სიტუაციაა, ჩემპიონობაზე ბრძოლაც შეგვიძლია, მაგრამ ამას არავინ გვთხოვს. მიზნად მესამე ადგილი და უეფას თასის საგზური დაგვისახეს.

— კარგი თამაში, კარგი პრესა — ამ ყველაფერმა ხომ არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ შესაძლოა, შაშიაშვილი მალე უკეთეს გუნდში გადავიდეს?

— „შტურმთან" კონტრაქტი 2+1 სისტემით მაქვს გაფორმებული. თუ გუნდს ამბიციები არ მოემატა, არ არის გამორიცხული, ორი წლის მერე წავიდე, მანამდე კი... ავსტრია მაინც შუა ევროპაა, სკაუტები თითქმის ყველა მატჩს ესწრებიან. თუ ვინმეს სურვილი გაუჩნდა, ვნახოთ...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ვარსკვლავების საბადო
## სად ჩადის საქართველოს ნაკრები

**სამი** მხრით სპარსეთის ყურეს გარშემორტყმული ყატარი აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქვეყანაა. ტურისტები ხომ ტურისტებზე ჩადიან და, რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებს, უკვე საფეხბურთო თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან ადგილად იქცა — განსაკუთრებით, ბოლო 6-7 წელიწადში.

საქართველოს ნაკრები დღეს გაემგზავრება ყატარის დედაქალაქ დოჰაში, 16-ში, ჩვენი დროით, 20 საათზე კი ულამაზეს სტადიონ „ხალიფა ინტერნეშნლ სტედიუმზე" ამხანაგურ მატჩს გამართავს.




ჰო, სტადიონებზე როგორ არ ვთქვათ, როცა ბოლო ოთხ წელიწადში ოთხი ახალი სარბიელი აშენდა (სამი დოჰაში). აქედან ერთი, სადაც ქართველები ითამაშებენ, 50 ათას კაცს იტევს, დანარჩენები კი — 15-20 ათასს.

ყატარის ნაკრები ვარსკვლავებს არც ახლა ეთამაშება, მაგრამ ბოლო წლებში პროგრესი კი შეიმჩნევა. ურუგვაელი ხორხე ფოსატის გაწვრთნილ ნაკრებზე ამასწინათაც ვწერდით, ახლა კი იქაურ კლუბებზე ვთქვათ, რომელთა პატრონების უმეტესობა, ცხადია, ნავთობმაგნატია. როგორც ყველა სპარსეთისყურისპირა ქვეყნისა, ყატარის მთავარი სიმდიდრეც ნავთობია.

ახლა ასე გავუყვეთ თემას: მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავმა მდიდარი კარიერა მოილია, 35 წელს მიუკაკუნა, რაც მოსაგები იყო, ყველაფერი მოიგო, მინდორზე ახალს ვერაფერს ისწავლის, ახალ ფინტს ან ახალ პასს ვერ გამოიგონებს და ამის ალარც ძალა შესწევს. რას იზამს? წავა იქ, სადაც ყველაზე დიდ ფულს უხდიან. თანაც, სად „მილანსა" და „რეალში" თამაშისას პასუხისმგებლობა თუ ნერვებისწყვეტა და სად ყატარულ კლუბში...

არადა, ყველა არა, მაგრამ რამდენიმე ვარსკვლავი ისეთ დროს წავიდა ამ სპარსეთისყურის ქვეყანაში, როცა ევროგრანდებიც კი კართებს დაახევდნენ.

ჩამოთვლა თუ გვინდა, პირველ რიგში რომარიო, გაბრიელ ბატისტუტა, შტეფან ეფენბერგი, მარიო ბასლერი, რონალდ და ფრანკ დე ბურები, კლაუდიო კანიჯა უნდა ვახსენოთ...

ყატარის ჩემპიონატის ბომბარდირები გამხდარან გაბრიელ ბატისტუტა (2004) და სონი ანდერსონი (22005), წინა სეზონში კი ეკვადორელმა კარლოს ტენორიომ იპირველა.

ყატარის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა 10-გუნდიანია, თუმცა ლეგიონერები ქვედა ლიგაშიც გვხვდებიან. ბოლო ორ სეზონში დოჰას „ალ-სადი" ჩემპიონობს, წლეულს კი „ალ-ჩარაფა" ლიდერობს.

ათივე უმაღლესლიგელს უცხოელი წვრთნის, რომელთა შორის, ყველაზე ცნობილები ჰოლანდიელი კო ადრიანსე („ალ-სადი") და ბრაზილიელი პაულუ („ალ-რაიანი") არიან. მგონი, გამოცნობა არ უნდა, რომ ყველა გუნდში ლეგიონერი ფეხბურთელები ქმნიან ამინდს.

მოდით, ყატარში ნათამაშებ ყველა ცნობილი ფეხბურთელიც ჩამოვთვალოთ:

**„ალ-აჰლი"**: ხოსეპ გვარდიოლა (ესპანეთი);

**„ალ-სიდია"**: ტიტი კამარა (გვინეა), აბდულაი სისე (ბურკინა ფასო);

**„ყატარ სპორტ-კლუბი"**: კლაუდიო კანიჯა (არგენტინა), მარსელ დესაი (საფრანგეთი), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), ლიმა (ბრაზილია), ჯეი-ჯეი ოკოჩა (ნიგერია), ალი ქარიმი (ირანი), ფაბრის აკვა (ანგოლა);

**„ალ-არაბი"**: ტარიბო ვესტი (ნიგერია), ივან ურტადო (ეკვადორი), შტეფან ეფენბერგი (გერმანია), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა);

**„ალ-სადი"**: ალი დაეი (ირანი), კარლოს ტენორიო (ეკვადორი), აბედი პელე (განა), ფრანკ ლებეფი (საფრანგეთი);

**„ალ-რაიანი"**: ფრანკ დე ბური (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), ფერნანდო იერო (ესპანეთი), მარიო ბასლერი (გერმანია), ემილ მპენზა (ბელგია), ალი ბენარბია (ალჟირი), სონი ანდერსონი (ბრაზილია), სალომონ ოლემბე (კამერუნი).

და კიდევ: დოჰა 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობის ერთ-ერთი კანდიდატია.

**ილია ნანობაშვილი**

# საზოგადოებრივი მაუწყებლის იმედად

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, ყატარი — საქართველოს 16 ნოემბრის მატჩი, შესაძლოა, საზოგადოებრივ მაუწყებელმა გადმოსცეს. ყოველ შემთხვევაში, მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს და იმედია, გულშემატკივარი ნახავს ამ შეხვედრას, რომელიც თბილისის დროით, 20 საათზე დაიწყება.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, შესაძლოა, 21 ნოემბერს საქართველო — ლიტვის ევროშესარჩევი მატჩიც აჩვენოს.

ეროვნული ნაკრების საშინაო თამაშების ტრანსლირების უფლება „იმედს" ეკუთვნის, თუმც უცნობია, განაახლებს თუ არა ეს ტელეკომპანია იქამდე მუშაობას.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოში რუსი ჩამოდის მეტი რაღა გინდათ?!

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს 20 ნოემბერს თბილისში ძალიან პრინციპული მატჩი ელის რუს თანატოლებთან. პეტარ სეგრტის გუნდმა ამ მატჩისთვის მზადება 12 ნოემბერს ტრაპიზონში, თურქეთის ნაკრების ბაზაზე დაიწყო. ჩვენებს ტრავმების გამო რამდენიმე ფეხბურთელი რომ გამოაკლდათ, გეცოდინებათ, გუშინ კი სეგრტს ტრაპიზონში შევეხმიანეთ და მზადების თაობაზე ვკითხეთ...



— უკვე შემოგვიერთდნენ მათე ღვინიანიძე, დავით თარგამაძე, რევაზ ბარაბაძე და მირზა ბჟალავა. ეგაა, ბჟალავას მცირე ტრავმა აქვს, ბარაბაძეს კი სათამაშო პრაქტიკა აკლია. ხოლო ისინი, ვინც თბილისიდან წამოვიყვანეთ, საბედნიეროდ, ყველა მწყობრშია.

**— ხუთი ფეხბურთელი ტრავმების გამო გამოგაკლდათ, მათი უმეტესობა კი მცველია და ამით დაცვაში პრობლემები ხომ არ შეიქმნება?**

— ყველა ტრავმირებული ფეხბურთელი ჩვენთვის დიდ ძალას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ამ ფეხბურთელების არყოფნამ დაცვაში პრობლემები გააჩინა, თუმცა ვამუშავებთ რამდენიმე ტაქტიკურ ვარიანტს და ვფიქრობ, რუსეთთან მატჩში ყველაფერი კარგად იქნება.

**— საწვრთნელი პროცესით კმაყოფილი ხართ?**

— თურქებმა კარგი პირობები დაგვახვედრეს და აქამდე ნაყოფიერადაც ვივარჯიშეთ, მაგრამ დღეს ძლიერმა წვიმამ შეგვიშალა ხელი, თუმცა იმედი მაქვს, მალე გამოიდარებს და ვარჯიშს ჩვეულებრივად გავაგრძელებთ...

**— საქართველო — რუსეთის დაპირისპირება ყოველთვის საინტერესო და დაძაბულია. თქვენ რას ელით ამ მატჩისგან?**

— ქართველებისთვის ამაზე დიდი მოტივაცია რა უნდა იყოს?! ბიჭები ამ მატჩისთვის გულანთებულნი ემზადებიან. რუსეთის დასამარცხებლად ყველაფერს ვილონებთ. ძალიან მაინტერესებს, ახლა როგორი მდგომარეობაა თბილისში და თუ შეგიძლიათ, მითხრათ?

— მადლობა ღმერთს, უკვე მშვიდობაა.

— ძალიან კარგი. იმედია ყველაფერი კარგად იქნება და ჩვენ კი რუსებს დავამარცხებთ...

**ნუკრი ლოლაძე**

# მუტკომ რუსებს ღირსება უხსენა

**გუშინ** რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები ანთალიაში ჩავიდა და სათბილისოდ მზადებას იქ აგრძელებს.



როგორც შევიტყვეთ, ტრავმების გამო თბილისში ვერ ჩამოვლენ „მოსკვას" ფეხბურთელები, კირილ ნაბაბკინი და პაველ გოლიშევი. რუსთა მთავარმა მწვრთნელმა ბორის სტუკალოვმა მათ ნაცვლად ერთი ახალი ფეხბურთელი შეიმატა — მოსკოვის არმიელი დმიტრი ტიხონოვი.

ამგვარად, სტუკალოვის განკარგულებაში ახლა 19 ფეხბურთელია...

და ერთიც: ანთალიაში გამგზავრებამდე გუნდი რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ მოინახულა და გაამხნევა...

„საქართველოსთან მატჩი იოლი არ იქნება, მაგრამ თქვენ ღირსეულად უნდა ჩაამთავროთ 2007 წელი" — ამ სიტყვებით მიმართა მუტკომ რუს 21-წლამდელებს.

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული განახლება
## პროფლიგამ თარიღები ჩამოწერა



**მე-12 ტური**

24 ნოემბერი
სიონი — ბორჯომი
მგლები — ვიტ ჯორჯია
დილა — სპარტაკი
ოლიმპი — მერანი
ლოკომოტივი — დინამო
ზესტაფონი — ბათუმი
მესხეთი — ამერი

**მე-13 ტური**

1 დეკემბერი
სპარტაკი — ოლიმპი
ამერი — ზესტაფონი
ბათუმი — ლოკომოტივი
ბორჯომი — მგლები
ვიტ ჯორჯია — მესხეთი
2 დეკემბერი
დინამო — დილა
მერანი — სიონი

**გადადებული მე-11 ტური**

5 დეკემბერი
ბორჯომი — ოლიმპი
ბათუმი — მესხეთი
ამერი — ვიტ ჯორჯია
სპარტაკი — ლოკომოტივი
6 დეკემბერი
სიონი — მგლები
დინამო — ზესტაფონი
მერანი — დილა

**საქართველოში** გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ დავთრები პროფესიული ფეხბურთის ლიგასაც აურია და მე-19 ეროვნული ჩემპიონატის შეწყვეტა მოუხდა.

საგანგებო მდგომარეობის გაუქმების გამო კი, გადაწყდა, რომ ჩემპიონატში გამოტოვებული მე-11 ტურის მატჩები 5-6 დეკემბერს გაიმართება, თუმც მანამდე, 24 ნოემბერს მე-12 ტურის, ხოლო 1-2 დეკემბერს მე-13 ტურის მატჩებია.

როგორც პროფესიული ფეხბურთის ლიგაში გვითხრეს, 17 ნოემბრიდან განახლდება პირველი ლიგის გათამაშებაც.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის" გათამაშების ჯგუფური ეტაპის მე-6 ტური გაიმართება 27 ნოემბერს. საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგა საგანგებო მდგომარეობის გაუქმების გამო განახლდება 17 ნოემბერს. პირველი ლიგის მე-14 ტურის მატჩები 18 ნოემბრის ნაცვლად ჩატარდება 20 ნოემბერს, მე-15 ტურის მატჩები რჩება კალენდრის მიხედვით, ხოლო გამოტოვებული მე-12 ტურის შეხვედრები შედგება 29-30 ნოემბერს.**

# 17-ში 17-ზე

**17 ნოემბერს** 17 საათზე საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში გაიმართება გამგეობის სხდომა, რომელზეც „ფოლკსვაგენის" თასის, ანუ სუპერთასის მატჩის გამართვის ადგილისა და თარიღის თაობაზე იმსჯელებენ.

თავდაპირველად სუპერთასის ჩატარება 5 დეკემბერს ზუგდიდში იგეგმებოდა, თუმც, როგორც შევიტყვეთ, მატჩი, სავარაუდოდ, 9 დეკემბერს გორში „თენგიზ ბურჯანაძეზე" გაიმართება.

ვნახოთ, რას გადაწყვეტს პროფლიგის გამგეობა...

შეგახსენებთ, რომ სუპერთასისთვის ერთმანეთს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი" და დავით ყიფიანის თასის მფლობელი თბილისის „ამერი" შეხვდებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე
# ლიტვური პრობლემები



ლიტველთა თავკაცი
ალგიმანტას ლიუბინსკასი

**21 ნოემბერს** საქართველოს ეროვნული ნაკრები ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩში ლიტველებს უმასპინძლებს. მანამდე, 17 ნოემბერს, ბალტიისპირელები კიდევ ერთ მატჩს გამართავენ — შინ უკრაინასთან.

უკრაინელებთან მატჩს ლიტველები დიდი დანაკლისით ხვდებიან: დისკვალიფიკაციის გამო მატჩს გამოტოვებენ შაულიუს მიკოლიუნასი, ანდრიუს კშანავიჩიუსი და აურიმას კუჩისი, ხოლო დეივიდას შემბერასი, დეივიდას ჩესნაუსკისი, დარიუს მიცეიკა და ტომას რაჟინიავიჩიუსი ტრავმირებულნი არიან.

ლიტველებს ქართველებთან მატჩისას მიკოლიუნასი კი დაუბრუნდება, მაგრამ ტრავმირებულთაგან რომელი შეძლებს თამაშს, ჯერჯერობით უცნობია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ქართული ფეხბურთის ბაია
## ალექსანდრე ლომაიამ და ნოდარ ახალკაცმა ზუგდიდელი ბავშვები დააჯილდოვეს

**წლეულს** სკოლბურთში „პეპსის თასის" გამარჯვებული ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლის გუნდი „ბაია" რომ გახდა, გეცოდინებათ.

ოქტომბერში „ბაიამ" თავი ბარსელონაში გამართულ „კოსტაბრავას" ტურნირშიც ისახელა — მეორე ადგილზე გავიდა.

ჰოდა, გუშინ ბაიელები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ მიიწვია და საპატიო სიგელები ჩამოურიგა.

დაჯილდოვებას ესწრებოდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები, ნოდარ ახალკაცი და გოგი ქავთარაძე და ეზოს ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი შოთა ბაქრაძე.

ალექსანდრე ლომაია: „ჩვენი სამინისტრო ფეხბურთის ფედერაციასთან აქტიურად თანამშრომლობს და „პეპსის თასის" გათამაშებაც ამის დასტურია. წლევანდელ ტურნირში 11 ათასზე მეტმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. მინდა, ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლის გუნდ „ბაიას" წარმატება მივულოცო. მაშინ ზუგდიდელები დავასაჩუქრეთ და კატალონიაში საერთაშორისო ტურნირზე გავუშვით. „ბაია" იქაც კარგად გამოვიდა და მეორე ადგილიც დაისაკუთრა, რაც ძალიან კარგი შედეგია. შესაძლოა, ამ გუნდიდან საქართველომ ახალი დავით ყიფიანი მიიღოს. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენს ქვეყანას განათლებული ბავშვები ეზრდებიან".

ნოდარ ახალკაცი: მინდა, ჩვენს ბიჭებს წარმატება მივულოცო. „ბაიამ" ესპანეთში ასეთი კარგი გამოსვლით მთელი საქართველო ასახელა. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ გუნდში ეროვნული ნაკრების მომავალი წევრები იზრდებიან. სკოლბურთის გათამაშებაში შარშან 4 ათასი ბავშვი მონაწილეობდა, წლეულს კი ეს რიცხვი გაცილებით დიდი იყო. ფეხბურთის ფედერაცია, განათლების და სპორტის სამინისტროები აუცილებლად გავაგრძელებთ თანამშრომლობას".

ახლა კი გამარჯვებულებსაც გავეცნოთ: *დათო გაბუნია, დათო ფირცხალავა, გოგი ხოჭოლავა, დათო ქირია, ლუკა კობერიძე, რევაზ ფარცვანია, გელა ქორთუა, ცოტნე სამუშია, ირაკლი ლუბელაძე, ნოშრევან ქირია, გიორგი ბულისკირია, არჩილ მესხი, გიორგი მესხი, გიორგი ლომთაძე, ცოტნე სამუშია.*

*მთავარი მწვრთნელი: გია ლუბელაძე*

*სკოლის დირექტორი: ნინო ჭიჭინაძე.*

**ნუკრი ლოლაძე**

# ტორპედო და ბიძინა ივანიშვილი: ქუთაისში ისევ ამას ლაპარაკობენ

**კარგა** ხანია, ქუთაისში ხმები დადის, თითქოს გალატაკებულ-გაკოტრებული „ტორპედოს" ყიდვას ცნობილი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი აპირებს.

საქართველოს სამგზის ჩემპიონის პირველ ლიგაში დაქვეითების შემდეგ ეს ხმები თითქოს გაქრა, მაგრამ ბოლო დღეებში ხალხი კვლავ ახმაურდა და დიდი ფეხბურთის ნახვას დანატრებულ ქუთაისელ ქომაგს სხვა სალაპარაკო თემა აღარც აქვს.

სიტუაციის გასარკვევად გუშინ გუნდის უფროს *ჰაჰუნა მელაძეს* დავუკავშირდით, თუმცა დაზუსტებით ვერც მან გვითხრა რამე...

„ეგ ამბავი მეც ჭორის დონეზე ვიცი, ისევე როგორც თქვენ. „ტორპედოს" გაყიდვის თაობაზე ლაპარაკი კი არის, მაგრამ მყიდველი ჯერ არ ჩანს. სავარაუდო მყიდველის ვინაობა ახალი წლის დასაწყისში უფრო გახდება ცნობილი" — გვითხრა მელაძემ.

ახალ წლამდე ორი თვეც აღარ დარჩა და ვნახოთ... აგერ „ტორპედო" და აგერ მყიდველი...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ბიძინა ივანიშვილი

ბოლო წლებია, „ზესტაფონი“ ჩემპიონობის თუ თასის მოპოვების ფავორიტად ითვლება, თუმც მუდამ რაღაც აკლდება ხოლმე მიზნის მისაღწევად.
იმერლებმა ეს სეზონიც ჩვეული რიხით დაიწყეს, პირველ ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ საშინაო ფრის შემდეგ ზედიზედ ცხრა თამაში მოიგეს და ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობენ. იმერელთა ამ წარმატებაში
გიორგი ნოდარის ძე ჭელიძის დამსახურებაცაა.
„პაჭელო“ ზესტაფონელებმა მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ ინათხოვრეს და 6 გოლით გუნდის მთავარმეგოლე ხომ არის, სამ დინამოელთან, მიხეილ ხუციშვილთან, ჟორჟ აკირემისთან და ილია სპასოევიჩთან ერთად ჩემპიონატის ბომბარდირთა ჭიდილსაც თავში უდგას. თუმც „პაჭელოს“ ჩემპიონატის ბომბარდირობა ალბათ არ უწერია — მისი „ზესტაფონში“ განათხოვრების ვადა 2007 წლის ბოლომდეა, მერე კი „ლოკომოტივს“ უნდა დაუბრუნდეს, სადაც სასიამოვნო ამბავი ელის — რკინიგზელთა მწვრთნელად რინატ ბილიალეტდინოვი დაინიშნა, რომელიც „ლოკომოტივის“ დუბლებში მუშაობდა და ჭელიძე მის ფავორიტად ითვლებოდა.
გიორგისთან საუბარიც სწორედ ამ თემით დავიწყეთ...



# ახალი წლიდან ახალ ლოკომოტივში
## ჭელიძეს ბილიალეტდინოვი გაუხარდა

— გეცოდინება, ვინ დაინიშნა „ლოკომოტივის“ მწვრთნელად...

— ახალი მწვრთნელი? არ ვიცი...

— რინატ ბილიალეტდინოვი.

— მართლა? ძალიან კარგია. სიომინი თუ დარჩა პრეზიდენტად?

— არა, ისიც გადადგა. როგორც ვიცი, ბილიალეტდინოვთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა გაქვს...

— კარგი პიროვნებაა. „ლოკომოტივის“ დუბლებში მისი დაყენებული მოთხოვნით აღმოვჩნდი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს წინსვლაში.

— „ზესტაფონთან“ იჯარის ვადა წლის ბოლოს გეწურება, რუსეთში წასვლას როდისთვის გეგმავ?

— იგივე რომ არ დამემართოს, რაც ზაფხულში, უკვე დავიწყე ვიზაზე ზრუნვა, რაც, სავარაუდოდ, ახალ წლამდე არ უნდა გაიწელოს. „ლოკომოტივსაც“ შეკრებაზე შევუერთდები ახალი წლიდან.

— „ზესტაფონს“ შენი დატოვების სურვილი არ გამოუთქვამს?

— „ზესტაფონი“ ძალიან დამეხმარა. მეც კი, რაც შემეძლო, ის გავაკეთე გუნდისთვის. ჯერჯერობით დარჩენაზე არანაირი წინადადება არ ყოფილა, თუმცა მთავარი სიტყვა ხომ „ლოკომოტივისაა“.

— როგორ ფიქრობ, შენი წასვლით „ზესტაფონი“ მნიშვნელოვნად დასუსტდება?

— არანაირად. „ზესტაფონში“ სერიოზული კონკურენციაა და სრულფასოვანი შემცვლელები მოიძებნებიან. თუ ახლა ზურაბ იონანიძეს ნაკლები დრო ეძლევა სათამაშოდ, მერე მეტი მიეცემა. იონა მაღალი კლასის ფეხბურთელია და მის გვერდით თამაშმა თუ ვარჯიშმა ამ მოკლე დროში ძალიან ბევრი მასწავლა.

— რა შანსები აქვს ამ სეზონში „ზესტაფონს“ და რას გეგმავს კლუბის ხელმძღვანელობა?

— ხელმძღვანელობა ყოველთვის მაქსიმუმს ითხოვს და „ზესტაფონს“ ახლა მშვენიერი შანსი აქვს, მათ სურვილი აუსრულოს — ჩემპიონატიც მოიგოს და თასიც.

— კონკურენტები ვინ იქნებიან?

— თუ ჩემპიონატში ამ დროისთვის ჩვენ და „დინამო“ ცოტა წინ ვართ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანარჩენებს სძინავთ. ყველა მატჩი სრული მობილიზაციით უნდა ვითამაშოთ, განსაკუთრებით თასზე, რადგან იქ აუტსაიდერსაც შეუძლია ერთი მატჩის მოგება.

— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში კი აღარ გეძახიან...

— რა ვქნა?! ეს მწვრთნელების გადასაწყვეტია. როგორც საჭიროდ ჩათვლიან, ისე მოიქცევიან...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ამერმა და მერანმა ერთმანეთი იპოვეს
## ორ ნიგერიელს ტოვებენ, ერთს უშვებენ

**ამერი 0:0 მერანი**

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი (ქვაჩახია 55), კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე (კობაური 46), დოლიძე (შალამბერიძე 55), დობროვოლსკი (მესხი 55), დიდავა, ბოლქვაძე (ცხადაძე 62), ჯელაძე (ა. ალავიძე 35), რ. გოცირიძე, ტატანაშვილი (ვარდოსანიძე 75)
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე
**მერანი:** მამარდაშვილი, ლოლაძე, დ. გიგაური, თ. კობიაშვილი, ა. კალაძე, ჯანგიძე, ბურჯანაძე, ავალიანი, ტყეშელაშვილი, ფურთუხია, ვ. გოჩაშვილი
შეცვლაზე შევიდნენ: სეფიაშვილი, ლომაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, შველიძე, კობერიძე, იაგო დეისაძე, ჯოჯუა, ბაკურაძე, ხუჭუა, იაკობ დეისაძე, ქემაშვილი
მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი
გაფრთხილება: გოჩაშვილი (44), მესხი (84)
გაძევება: ჯელაძე (35)
მსაჯი: დავით ხარიტონაშვილი

**ჩემპიონატში** უქმობას ყველა თავისებურად უდგება. „ამერმა“ და „მერანმა“ კი შესვენება ერთმანეთთან საპაექროდ გამოიყენეს.

საგურამოში, „ამერის“ ბაზაზე ჩატარებული ეს თამაში უგოლოდ დასრულდა და, სხვათა შორის, პირველად მოხდა, „ყვითლებმა“ „მერანს“ რომ ვერ მოუგეს. ისე კი, მომენტების ნაკლებობა არ ყოფილა.

სტუმართა სახიფათო იერიშების აღწერა იოლია. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა შალვა ხუჭუამ ზურაბ ქვაჩახიას დაბალ კუთხეში დაურტყა და მეკარის რეაქციამაც არ დაახანა. ეს იყო და ეს. აი, საპირისპირო მხარეს შექმნილი სახიფათო ეპიზოდების ჩამოთვლა ნაღდად შორს წაგვიყვანს, რაკი ბევრიც იყო და რაგინდარა გემოვნებისაც. ამიტომ მოკლედ ვთქვათ: გრიგოლ დოლიძეს, რევაზ გოცირიძეს, დიმიტრი ტატანაშვილს, გივი დიდავას შეხვედრის ბედის საამეროდ შეტრიალება არაერთხელ შეეძლოთ.

ერთი ამერული ეპიზოდი კი მაინც გამოვარჩიოთ: მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, დავით ბოლქვაძემ ხარიხას რომ გაარტყა, გადმოვარდნილი ბურთი რევაზ გოცირიძემ თავით ისევ კარისკენ გაგზავნა და ისევ ხარიხა. მესამე ცდაზე კი დიმიტრი ტატანაშვილმა მაკრატელათი ააცილა კარს.

ნამატჩევს კი „მერანის“ მთავარმა მწვრთნელმა დავით ეჯიბიშვილმა ეს გვითხრა: „ჩემი გუნდის ფიზიკური კონდიციით კმაყოფილი ვარ. მეტოქის შეტევების ჩაშლაც კარგად გამოგვდის, აი, მომენტების შექმნა კი გვიჭირს. პასების მიცემისას ხშირად ვცდებით, ბურთი იკარგება და ისევ მოწინააღმდეგის იერიშის შეჩერება გვიწევს“.

და ერთი ძალიან საინტერესო ამბავიც: „მერანში“ ნიგერიელმა ფეხბურთელმა ითამაშა. ჯო ჯოშუა საყრდენი ნახევარმცველია და როგორც გვითხრა, ერთი მატჩი ნიგერიის ახალგაზრდულ ნაკრებშიც აქვს ჩატარებული. სამშობლოში ის ლაგოსის „ჩოისეს სპორტში“ თამაშობდა.

გუშინ საგურამოში არ ყოფილან, მაგრამ „მერანში“ გასინჯვაზე კიდევ ორი ნიგერიელია: თავდამსხმელი ტონი იკეჩუკვუ, ვინაც ასევე ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე ყოფილა და მარცხენა მცველი ლუკას ფორგივე, თუმცა ამან „მერანის“ მწვრთნელებს თავი დიდად ვერ მოაწონა და ალბათ სამშობლოში დააბრუნებენ.

ჯოშუასა და იკეჩუკვუს დატოვებაზე კი ფიქრობენ...

**კოტე კეკელია**





ჯო ჯოშუა



დიმიტრი ტატანაშვილის მაკრატელა

## საქართველოს ჭაბუკთა ლიგა

**1990 წელს დაბადებულები**

დასავლეთი ზონა
მესხეთი 1:4 მგლები
ბორჯომი 3:1 მართვე
ბათუმი 3:1 ცხინვალი

## აფხაზეთის ღია ჩემპიონატი

**უფროსი ასაკი**

V ტური
თბილისი 1:0 ნ. დინამო
დიოსკურია 0:5 ამირანი
ბერი 3:0 მერანი
კოლხა 3:3 35-ე სკოლა
გალი 0:3 გეორგია-ომც
ორბები — ნ. დინამო 90
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი | 4 | 4 | 0 | 0 | 23:3 | 12 |
| გეორგია-ომც | 4 | 4 | 0 | 0 | 19:3 | 12 |
| ბერი | 5 | 4 | 0 | 1 | 13:5 | 12 |
| სოხუმი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:3 | 12 |
| ორბები | 3 | 3 | 0 | 0 | 12:3 | 9 |
| თბილისი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:12 | 6 |
| დიოსკურია | 5 | 2 | 0 | 3 | 7:15 | 6 |
| ნ. დინამო 90 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ნ. დინამო | 5 | 1 | 0 | 4 | 7:9 | 3 |
| გალი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:16 | 2 |
| მერანი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| 35-ე სკოლა | 5 | 0 | 1 | 4 | 8:21 | 1 |
| კოლხა | 5 | 0 | 1 | 4 | 6:25 | 1 |

**1991-92-წლიანები**

III ტური
35-ე სკოლა 0:8 სოხუმი 2
გარეჯი 1:1 შავნაბადა
ნ. დინამო 1:7 გურია
ამირანი 2 3:0 სართიჭალა
იმედი 1:0 ალაზანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი 2 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 9 |
| იმედი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| სოხუმი 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 13:0 | 6 |
| ალაზანი | 3 | 2 | 0 | 1 | 10:2 | 6 |
| გურია | 3 | 2 | 0 | 1 | 13:7 | 6 |
| სართიჭალა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| გარეჯი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| შავნაბადა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| ნ. დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 3:17 | 0 |
| 35-ე სკოლა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:18 | 0 |

**1993-94 წლიანები**

A ჯგუფი. II ტური
25-ე სკოლა 2:4 ალაზანი
ფორვარდი 2 1:3 იმედი 2
ნ. დინამო 5:0 სართიჭალა
მეტეხი 91 0:1 ალგეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალაზანი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:2 | 6 |
| იმედი 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| ალგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ნ. დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| ფორვარდი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:5 | 3 |
| 25-ე სკოლა | 2 | 0 | 1 | 1 | 4:6 | 1 |
| მეტეხი 91 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| საუ-ბერმუხა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |
| სართიჭალა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:11 | 0 |

B ჯგუფი. II ტური
გორი 3:0 ნ. დინამო 93
მერანი 91 3:1 თეთრი არწივი
სიხარული 1:0 მთვარის გლობუსი
იმედი 1 6:1 ფორვარდი 1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმედი 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 10:1 | 6 |
| მთ. გლობუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:1 | 3 |
| სიხარული | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| გორი | 2 | 1 | 0 | 0 | 3:4 | 3 |
| მერანი 91 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| თეთრი არწივი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ნ. დინამო 93 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ფორვარდი 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:6 | 0 |

# ნეტავ, რუსებმა მოიგონო?!

**აი, სეირი:** ისრაელის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა განაცხადა, ძალიან მინდა ევრო 2008-ზე რუსეთი მოხვდესო...

და კიდევ, იმავე მწვრთნელმა ბრძანა, რომ შაბათს, ამ ორი გუნდის შეხვედრაში ისრაელი უცნობი ახალგაზრდებით აპირებს თამაშს.

შეგახსენებთ, თუ რა ვითარებაა E ჯგუფში, სადაც ეს ინტრიგა გახლავთ ჩახლართული: თელ ავივში ჩასატარებელი ისრაელ-რუსეთის მატჩის შედეგზე პირდაპირ არის დამოკიდებული ინგლისის ბედი. ისრაელმა რუსებთან თუნდაც ფრედ რომ ითამაშოს, სტივ მაკლარენისა და მისი რაზმის ბრძოლას აზრი ექნება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ევროპის პირველობა „ფეხბურთის მშობელთა“ გარეშე ჩაივლის.

ახლა კი, დროა დავასახელოთ ისრაელელთა უცნაური მწვრთნელის ვინაობა — ეს გახლავთ მეკარეთა მასწავლებელი 47 წლის ალექსანდრ უვაროვი, რომელმაც ასეთი რამაც ბრძანა:

„ძალიან მინდა, ევროპის ჩემპიონატზე რუსეთი გავიდეს, ამისთვის კი მან ისრაელს უნდა მოუგოს. რუსები გავაფრთხილე, რომ იოლი გასეირნება არ ელით. 16 წელიწადია ისრაელის ნაკრებში ვმუშაობ და ჯერ არ ყოფილა მატჩი, სადაც მაქსიმალურად არ მოგვენდომებინოს. დიახ, მინდა რუსეთი ევროპის ჩემპიონატზე გავიდეს, ოღონდ მინდა ეს დამსახურებულად მოხდეს. ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მოედანზე გადაწყდება და არსად სხვაგან!“

ცნობისათვის: უვაროვი საბჭოთა კავშირში დაბადებულ-გაზრდილი მეკარეა, რომელიც შემდეგ ისრაელში გადასახლდა.

„ისრაელთან რუსებს სამკვდრო-სასიცოცხლო თამაში ელით. გამარჯვება ავსტრიაში გამგზავრების გარანტიას აძლევთ. თამაშის წინ ისინი კვიპროსზე გაემგზავრნენ, სადაც ცოტა განიტვირთნენ. თელ ავივში ისინი თამაშისწინა დღეს ჩამოვლენ“.

უვაროვმა ისიც შეიტყო, რომ რუსები ისრაელის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ნახევარმცველის იოსი ბენაიუნის ტრავმამ გაახარა.

„ბენაიუნის თაობაზე რუსეთიდან უამრავმა ადამიანმა დამირეკა. მათ ამ ფეხბურთელის მართლაც ეშინოდათ და ვფიქრობ, იოსი რომ არ იქნება, ეს მათთვის დიდი პლიუსია. იოსი ჯერ კიდევ სანტანდერის „რასინგში“ თამაშობდა, როცა ბევრ რუსულ გუნდს უნდოდა მისი გადაბირება, თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს: ნაკრებში მისი არყოფნა ისრაელის რომელიმე ახალგაზრდე ფეხბურთელს გაუხსნის ხელფეხს“.

და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უვაროვმა ისიც თქვა, რომ ისრაელის ნაკრების მწვრთნელი დრორ კაშტანი რუსეთის წინააღმდეგ გამოუცდელი ახალგაზრდების გამოცდას აპირებს.

„გუნდში აუცილებლად იქნებიან ახალგაზრდები, რომლებიც დაამტკიცებენ, რომ ძლიერები არიან“.

**ბაჩუნა ძიძია**





ძველმა მეკარე ალექსანდ უვაროვმა რუსები იოსი ბენაიუნის ტრავმით და დრორ კაშტანით გადაწყვეტილებით გაახარა

# არა არის ევროპა, არ არის კონტრაქტი

**სერბეთის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვეზდან ტერზიჩმა ბელგრადის გაზეთ „პრესასთან“ ინტერვიუში თქვა, რომ ბალკანელთა ნაკრების ესპანელი თავკაცი ხავიერ კლემენტე თანამდებობას წლის ბოლოს დატოვებს.

კლემენტეს სერბეთის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 31 დეკემბერს უმთავრდება. იგულისხმებოდა, რომ ბალკანური ნაკრების ევრო 2008-ზე მოხვედრის შემთხვევაში ბატონი ტერზიჩი და მისი ხალხი ბასკ დამრიგებელთან თანამშრომლობას გააგრძელებდნენ, მაგრამ რახან ევროპის პირველობაზე სერბების მოხვედრის შანსი მეტად მცირეა, ფედერაციამ ახალი მწვრთნელის ძებნა დაიწყო.




„კლემენტესთან შესაძლო განშორება მის დამსახურებათა იგნორირებას როდი ნიშნავს. მან სერბეთის ნაკრების თამაშის ხარისხი გააუმჯობესა და ჯანსაღი კონკურენციის ატმოსფეროც შექმნა. ამის თაობაზე შეგიძლიათ ფეხბურთელებსაც დაეკითხოთ“ — თქვა პრეზიდენტმა ტერზიჩმა.

ამავდროულად გაცხადდა, რომ ხავიერ კლემენტესთან თანამშრომლობას ესპანური „უელვა“ აპირებს. რაც შეეხება სერბებს, ისინი ახალი მწვრთნელის ვინაობას 24 იანვარს შეიტყობენ, თუ, რა თქმა უნდა, თითქმის წარმოუდგენელი რამ არ მოხდა და კლემენტეს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე გაალწია. ეს როგორ? სერბეთმა სტუმრად ყაზახეთსა და პოლონეთს უნდა მოუგოს, თან ბელგიის პოლონეთთან გამარჯვებაც სჭირდება, ან ის, რომ ფინეთმა პორტუგალიიდან დაუმარცხებელმა გამოაღწიოს, რაც ნაკლებად სავარაუდოა.

**ლადო ხომერიძი**



# ვან გაალი ლოკოს სიაში

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ დირექტორთა საბჭოს თავმა სერგეი ლიპატოვმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ახალ მწვრთნელს მანამდე დანიშნავენ, სანამ გუნდი შვებულებაში წავა. „ყოფილი პრეზიდენტის იური სიომინის კანდიდატურა მწვრთნელობაზე არც განიხილება — თქვა ლიპატოვმა — საამისოდ არაერთი მიზეზი არსებობს, რომლებსაც ახლა არ გავამხელ. შარშან თავად შევთავაზე პრეზიდენტობა და ალბათ შევცდი. სიომინთან, როგორც პიროვნებასთან, მუშაობა სასიამოვნოა, მაგრამ მენეჯერისთვის საჭირო თვისებები არ აღმოაჩნდა. ბიშოვეცის ნაცვლად რინატ ბილიალეტდინოვის დანიშვნა სპონტანური გადაწყვეტილება არ იყო. მან საკმაო გამოცდილება მიიღო და სეზონის ბოლომდე იმუშავებს. ახალ მწვრთნელს კი გუნდის შვებულებაში გაშვებამდე დავნიშნავთ. ბევრი კანდიდატი გვყავს, მათ შორის ლუის ვან გაალი.“

ჰოლანდიელი მწვრთნელი კი ჯერჯერობით თაბაშირისგან განთავისუფლებას უცდის.

## შვიდგოლიანი არწივი ჰამბურგში

**ნიჭიერმა** ნიგერიელმა ფორვარდმა მაკაული კრისანტუსმა „ჰამბურგთან“ კონტრაქტი გააფორმა. „სუპერარწივების“ 17-წლამდელთა ნაკრებმა სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, რომელიც სამხრეთ კორეაში გაიმართა, კრისანტუსმა კი შვიდ მატჩში ამდენივე გოლი გაიტანა და ტურნირის მთავარმეგოლეც გახდა. ფეხბურთელმა გერმანულ კლუბთან სამოყვარულო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და აგვისტოში, როცა 18-ის შესრულდება, პროფესიულ კონტრაქტს მიიღებს. „ძალიან გაგვიხარდა, რომ ჩვენთან გადმოსვლას დათანხმდა“ — თქვა „ჰამბურგის“ სპორტულმა დირექტორმა დიტმარ ბაიერსდორფერმა კრისანტუსზე, ვინც სამშაბათს დილით გუნდთან ერთად ივარჯიშა. ნიგერიელი ფორვარდით „არსენალი“ და „მანჩესტერ სიტიც“ იყვნენ დაინტერესებულნი.

## გაშეშებული ვისკი

**„ინებეთ ვისკი!“** — უთხრა შოტლანდიელმა ჟურნალისტმა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ რაიმონ დომენეკს, მაგრამ ბოთლი 3 აერში გაშეშდა. დომენეკმა ზრდილობიანად იუარა და უპასუხა: „ბოლოს შოტლანდიელ ჟურნალისტს ვისკი რომ გამოვართვი, ჩემი გუნდი დამარცხდა“.

სქოთებმა საფრანგეთის ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიში (1:0) მოუგეს.

## სტვენა, გინება და წასვლა

**„ბოკა ხუნიორსთან“** 0:4 წაგების შემდეგ ორ დღეში „ველეს სარსფილდის“ თავკაცი რიკარდო ლავოლპე გადადგა. მექსიკის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ „ბოკა ხუნიორსი“ ჩაიბარა, მაგრამ სეზონის ბოლოს, საჩემპიონო ბრძოლაში, „ესტუდიანტესთან“ დამარცხდა და თანამდებობაც დაკარგა. ამის მერე ლავოლპე „ველესის“ თავკაცად დანიშნეს და დიდხანს ყოფნა არც იქ აცალეს. „ბოკას“ ფანებმა 0:4 წაგებული მატჩისას რიკარდო ლავოლპეს უსტვინეს და აგინეს.

## ტრავმიანი ჯილდო

**უელსის** წლის საუკეთესო ფეხბურთელად „ვესტ ჰემის“ ფორვარდი კრეიგ ბელამი აღიარეს, ხოლო ახალგაზრდებში — „ტოტენჰემის“ ახალგაზრდა და ნიჭიერი მცველი გარეტ ბეილი. მას შემდეგ, რაც რაიან გიგზმა სანაკრებო კარიერა დაასრულა, ნაკრების კაპიტნის სამკლავური ბელამის ანდეს. „ჩაქუჩების“ მეგოლემ საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდო პირადად ვერ მიიღო, რადგან საზარდულზე ოპერაციას უკეთებდნენ. 28 წლის ბელამი ევრო 2008-ის ბოლო ორ შესარჩევ მატჩს (ირლანდიასთან და გერმანიასთან) ტრავმის გამო გამოტოვებს.

რაც შეეხება 18 წლის ბეილის, მაისში „ტოტენჰემმა“ „საუთჰემპტონისგან“ 10 მილიონ გირვანქად იყიდა. „მამლების“ მცველიც დაშავებულია და ვერც მან შეძლო დაჯილდოვების ცერემონიაზე მისვლა.

**გაგა ხუციშვილი**

# გასროლა ორი ხელით

## სერიას ბედზე სერიულად ფიქრობენ




AFP

**ტრაგიკულად** დაღუპული დიჯეი და „ლაციოს" ქომაგი გაბრიელე სანდრი იტალიის დედაქალაქში გუშინ დაკრძალეს. სანდრის ხსოვნის პატივსაცემად და მასთან გამოსამშვიდობებლად ბლომად ხალხი მივიდა. მათ შორის იყვნენ ფანები, იტალიური ფეხბურთის მმართველები, პოლიტიკოსები და უბრალო ადამიანები. პოლიციელის ნასროლი ტყვიით დაღუპული სანდრი წმინდა პიუს X სახელობის ტაძარში იყო დასვენებული.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანკარლო აბეტემ და ვიცე-პრეზიდენტმა დემეტრიო ალბერტინიმ ეროვნული ნაკრების სპეციალური მაისურა შეაკერინეს, რომელზეც „სკუადრა აძურას" ყველა ფეხბურთელმა გააკეთა გამოსათხოვარი სიტყვები წააწერა.

ბუნებრივია, დაკრძალვას დაესწრო „ლაციოს" მცველი ლორენცო დე სილვესტრი, რომელიც იტალიის ახალგაზრდული ნაკრების შეკრებიდან გაათავისუფლეს. სანდრი მისი ახლო მეგობარი გახლდათ.

„ლაციოს" მცველი სებასტიანო სივილია: „ძალიან მნიშვნელოვანი იყო სანდრისთან გამომშვიდობება და მისი ხსოვნისთვის პატივის მიგება. იგი ბრწყინვალე ადამიანი გახლდათ. ამ ტრაგედიამ ყველა გაგვაოგნა, მსგავსს ვერაფერს წარმოვიდგენდით. იმედია, ყველაფერი მალე გაირკვევა, თორემ უკვე ბევრი ჭორი გავრცელდა. ფეხბურთის დადანაშაულება მარტივია, მაგრამ მსგავს ინციდენტებთან ფეხბურთს არანაირი კავშირი არ აქვს. ეს ყველაფერი სოციალური პრობლემების ბრალია და ამას მიხედვა სჭირდება."

იტალიის პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლეტანომ გაბრიელეს ძმას, კრისტიანოს, დაურეკა და იტალიელი ხალხის სახელით მიუსამძიმრა: „შენი ოჯახის ტკივილს თითოეული იტალიელი იზიარებს. ეს ტრაგიკული ინციდენტი აბსურდულად მოხდა და იმედია, მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება."

იტალიური ფეხბურთის მამები მსჯელობას კი აგრძელებენ, მაგრამ ჯერ ვერანაირ გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდნენ და ამ დროისთვის კვლავ უცნობია, როდის განახლდება აპენინებზე საფეხბურთო ცხოვრება. ერთი, რაც ცნობილია და უკვე გაუწყეთ, ის არის, რომ მომავალ უქმეებზე სერია B-სა და C-ს მატჩები აღარ გაიმართება.

ამასობაში სანდრის ტრაგიკულად დაღუპვის თუ მკვლელობის ახალი დეტალები გახდა ცნობილი. შეგახსენებთ, რომ პოლიციელმა, რომლის გასროლილი ტყვიითაც დაიღუპა სანდრი, განაცხადა — ჯერ ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა გავაკეთე, მერე კი გავიქეცი და მეორე ტყვია ამ დროს გამივარდა შემთხვევითო.

სანდრების ოჯახის ადვოკატი ლუიჯი კონტი კი ამბობს, რომ ერთ-ერთმა მოწმემ ასეთი განცხადება გააკეთა — დავინახე, პოლიციელს ორივე ხელით როგორ ეჭირა იარაღი, ეს გამაფრთხილებელ გასროლას ან შემთხვევით გავარდნილ ტყვიას არ ჰგავდა, იგი აშკარად ვიღაცას ან რაღაცას უმიზნებდაო.

ექსპერტების დასკვნით, ტყვია ირიბი ტრაექტორიით ვერ წავიდოდა, იგი ჯიქურ არის ნასროლი...

პოლიციელის „სისუფთავეში" ეჭვებს ჰბადებს ისიც, რომ თვითმხილველების თქმით, „ლაციოსა" და „იუვენტუსის" ფანებს შორის ფიზიკური შეხლა-შემოხლა არ ყოფილა. ამბობენ, რომაელებმა ტურინელი ფანები რომ დაინახეს, მანქანით გზა გადაუკეტეს და აგინესო. ეს სულ რამდენიმე წამს გაგრძელებულა და ძნელი სათქმელია, რაში დასჭირდა პოლიციელს გასროლა. თუმც იმედია, გამოძიება ყველაფერს დაადგენს.

იქამდე კი ცნობილი ის არის, რომ პოლიციელი ლუიჯი (რომლის გვარიც კვლავ გასაიდუმლოებულია) თანამდებობიდან ჯერ არ მოუხსნიათ, უბრალოდ, იგი აღრიცხვაზე აიყვანეს.

**გიორგი ძაძამაძე**




# გამიმკაცრეთ სამშობლო!

## ფაბიოს ფობია: ფანებისგან პრობლემების ნიაღვარია

„**სკუადრა აძურას**" კაპიტანი ფაბიო კანავარო გაბრიელე სანდრის ტრაგიკულ სიკვდილს და იტალიურ ფეხბურთში არსებულ პრობლემებს გამოეხმაურა.

„პარადოქსია, მაგრამ ვფიქრობ, გამიმართლა, ახლა უცხოეთში რომ ვთამაშობ. მადრიდის „რეალი" დიდი გუნდია ჩინებული სტადიონით, რომელზეც ბავშვებს თავისუფლად შეუძლიათ მისვლა და ფეხბურთის უშფოთველად ყურება. გარედან კარგად ჩანს, თუ რა ცუდი იმიჯი ექმნება იტალიურ ფეხბურთს ამ აურზაურის გამო. ფაქტია, რომ წესიერად ვერ ვაკონტროლებთ და ვუძლევებით იმ სპორტს, რომელიც ძალიან გვიყვარს" — თქვა ვეტერანმა მცველმა.

კანავარომ ისიც აღნიშნა, რამდენიმე თვის მერე სამშობლოში დაბრუნებულს ახალი პრობლემების ნიაღვარი დამხვდა და ვისაც ეს ეხება, ვითარების გამოსასწორებლად სერიოზულად უნდა იმუშაონო.

„არ შეიძლება, ადამიანი კვდებოდეს იმის გამო, რომ მატჩზე დასასწრებას ცდილობდა, ეს აბსურდია. ისიც სათქმელია, რომ ხშირად ფანებს ისეთ ადამიანებს უწოდებენ, რომლებიც დამნაშავენი და მოჩხუბარნი არიან და ფეხბურთი ნაკლებად უყვართ. ასეთებთან დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს და წესები გამკაცრდეს. როცა იტალიაში ვთამაშობდი, რამდენჯერმე ვაიგულშემატკივრები ვარჯიშისას მოედანზე შემოგვეჭრნენ. ეს დაუშვებელია და ჩვენი ფეხბურთის მმართველებმა ამგვარი ფაქტები რაც შეიძლება, მალე უნდა აღკვეთონ" — დასძინა კანავარომ.

**გიორგი ძაძამაძე**

# მუქარის სონეტი ღიმილით

## ჩვენ კი არა, მილანს ეშინოდეს



„**კალიარის**" ახალ მწვრთნელად დაინიშნა 66 წლის ნედო სონეტი, ვინც სერია A-ს უხუცესი მწვრთნელის სტატუსს „რეჯინას" თავკაც რენცო ულივიერისთან გაინაწილებს.

გეხსომებათ, სონეტიმ მარკო ჯამპაოლო შეცვალა. დონ ნედო „სანტ ელიას" ბინადრების გაწვრთნას მესამედ შეუდგება. სარდინიელთა მთავარი ამოცანა ამ სეზონშიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა.

„ძალიან გახარებული ვარ და ერთი სული მაქვს, მუშაობას როდის შევუდგები. მალე გუნდს კარგად გავიცნობ და არ გამოვრიცხავ, იანვარში ერთი-ორი მოთამაშე დავიმატოთ. ვითარების გამოსწორებას ერთად ვეცდებით. ჩვენ გარდა სერია A-ში დასარჩენად კიდევ ბევრი კლუბი იბრძოლებს, რაც ელიტაში ადგილის შენარჩუნების შანსებს გვიზრდის. მომავალ სეზონში კი უფრო დიდი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ" — განაცხადა სონეტიმ.

ცნობილ მიზეზთა გამო, ჯერ არ არის გარკვეული, როდის ჩატარდება სერია A-ს მორიგი ტური. თუმც ის კი ფაქტია, რომ „კალიარის" მომდევნო მატჩი შინ „მილანთან" ელის. სარდინიელთა ძველ-ახალ მწვრთნელს მრისხანე მეტოქის არ ეშინია.

„ჩვენ კი არა, „მილანს" ეშინოდეს — კალიარიში სერიოზულ პრობლემებს წააწყდებიან" — ღიმილით აღნიშნა სონეტიმ.

**კოკი კანდელაკი**

# შესაძლო შედეგი

## ატალანტა 0:3 მილანი




AFP

**ღირს** კი ერთხელაც გახსენება იმისა, თუ რატომ და რანაირად ჩაიშალა დაწყებიდან 8 წუთში „ატალანტასა" და „მილანის" 11 ნოემბრის მატჩი?! ვფიქრობთ, არა, რაკიღა პოლიციელის ტყვიით დაღუპული გულშემატკივრის ამბავი გეცოდინებათ და თუ არ გაგიგიათ, ამის თაობაზე დღევანდელ „სარბიელშიც" ვწერთ.

ახლა კი ვთქვათ, რომ ის ჩაშლილი მატჩი შესაძლოა, აღარც გადათამაშდეს და „მილანს" ტექნიკური მოგება — 3:0 ჩაეთვალოს.

ოღონდ აქვე დავამატოთ, რომ მატჩის საბოლოო ანგარიშად ტექნიკური შედეგის ჩათვლასთან დაკავშირებული მოსაზრება არა ფეხბურთის ფედერაციის რომელიმე მაღალჩინოსანს, არამედ ყოფილ მოსამართლეს მაურიციო ლაუდის ეკუთვნის. აქვე დავძენთ, რომ ბატონი ლაუდი იტალიაში ფრიად ავტორიტეტული პიროვნებაა და მის მოსაზრებებს ანგარიშს უწევენ.

მაურიციო ლაუდი კი ტექნიკური მარცხის ჩათვლის გარდა, „ატალანტას" გვარიან ფულად ჯარიმასაც უწინასწარმეტყველებს.

„ატალანტა" — „მილანის" მატჩისგან განსხვავებით, ოფიციალურად გადაწყდა, რომ „რომა" — „კალიარისა" და „ინტერ" — „ლაციოს" გადადებული შეხვედრები 5 დეკემბერს გაიმართება.

**კოტე კეკელია**

ელექტრონული ბიბლიოთეკა





# ჰიგიენური საშუალებები მარადონასგან

## ურომანოდ რომ ასეა, რომანით რაღა იქნებოდა

„ვილიარეალი" ესპანური პრიმერას ცხრილში დღესდღეობით მეორე ადგილზეა და მატჩებსაც დამაჯერებლად იგებს, თუმცა ეს ხუან რომან რიკელმეს გარეშე ხდება, რაც დიეგო მარადონას სასტიკად არ მოსწონს.

ლეგენდარულმა არგენტინელმა „ყვითლების" მწვრთნელ მანუელ პელეგრინის შეუტია: „რიკელმეს ამბავი ვერაფრით გამიგია. ბიჭი საუკეთესო ფორმაშია, ცნობილ კლუბებს მის ხელში ჩასაგდებად ნამდვილი ომი აქვთ გაჩაღებული, ხოლო „ვილიარეალის" მწვრთნელს სათამაშოდ არ გაჰყავს. არგენტინაში რიკელმეს უბედობას სერიოზულად განვიცდით, თუმცა არა უშავს, ამბობენ, რომ მენსტრუაცია მხოლოდ რამდენიმე დღე გრძელდება. ამ პროცესის გავლის შემდეგ პელეგრინი ალბათ გონს მოვა და რომანს თამაშის საშუალებას მისცემს."

დიდი არგენტინელისგან გაკენწლილმა ჩილელმა პელეგრინიმ მედიასთან მხოლოდ ეს თქვა — აზრის გამოთქმაში ყველა თავისუფალია, თუმც იქნებ შეურაცხყოფას მოვერიდოთო. რა გაეწყობა, დონ დიეგოს თანამემამულეზე გული შესტკივა და ისიც ცნობილია, რომ თანამემამულეთა დასაცავად დაპიდარაბასაც არ ერიდება.

სხვა ვილიარეალურ ამბებზეც ვთქვათ. ესპანეთში უკვე ყველა დარწმუნდა, რომ ცხოვრება თურმე რიკელმესა და ფორლანის გარეშეც შეიძლება. ეს ერთადერთი გუნდია პირენეებზე, მადრიდის „რეალის" მიერ შეთავაზებულ რიტმს რომ გაუძლო და გასაკვირიც არაა, ლა ლიგას ცხრილში მეორე ადგილს რომ იკავებს.

კასტელონელებს უფლება აქვთ, მედიდურ მეზობლებს ზევიდან გადმოხედონ — ესპანურ ხმელთაშუაზღვისპირეთში ადრე, მოგეხსენებათ, „ბარსელონა" და „ვალენსია" გრგვინავდნენ, დღეს კი „ვილიარეალი" ორივე გრანდზე უკეთ გამოიყურება.

„ყვითელმა წყალქვეშა ნავმა" წლეულს წარმატებისკენ მიმავალ გზაზე ბევრი „მძიმე კრეისერი" ჩაძირა. „ვილიარეალმა" „სევილია", მადრიდის „ატლეტიკო", „ბარსელონა" და „ვალენსია" გაამწარა და ნაკლებად მოსალოდნელია, პელეგრინის ბიჭები ამ მიღწევაზე შეჩერდნენ. გუნდი ევროსარბიელზეც კარგად გამოდის, „ყვითლები" უეფას თასზე ჯერჯერობით დაუმარცხებლები არიან და გათამაშების შემდგომ ეტაპზეც თითქმის გავიდნენ. არადა, „ვილიარეალის" ჯგუფში ორი არცთუ ხელწამოსაკრავი გუნდი თამაშობს — იტალიური „ფიორენტინა" და ელინური აეკ-ი.

„ვილიარეალს" ესპანეთის ჩემპიონატის მეთორმეტე ტურისთვის საჩემპიონთალიგო პოზიციებისთვის აქამდე არასდროს მიუღწევია. კასტელონელები, ლა ლიგაში ოდენ 9-სეზონიანი გამოცდილების მიუხედავად, ევროტურნირებზე შინაურ ხალხად მიიჩნევიან. თუმცა ასე წარმატებულად „ვილიას" ჯერ არ უასპარეზია, 2004-05-ის ღირსსახსოვარ სეზონშიც კი, როცა გუნდმა ჩემპიონატი მესამე ადგილზე დაამთავრა.

სეზონის დასაწყისში „ყვითლები" არცთუ ბრწყინავდნენ — მეორე ადგილს ვინ ჩივის, ხსენებული სეზონის მეთორმეტე ტურისთვის „ვილიარეალი" ცხრილში მეცამეტე იყო...

მართალია, პელეგრინის ბანაკმა „ქილერი" დიეგო ფორლანი მადრიდის „ატლეტიკოში" გაყიდა, მაგრამ „ვილიარეალს" ამით არაფერი დაჰკლებია. „ყვითლებმა" წლეულს ლა ლიგაში 25 გოლი გაიტანეს, რაც რიგით მეორე მაჩვენებელია მადრიდის „რეალის" შემდეგ. „ელ მადრიგალის" მთავარმეგოლეები კი იტალიელი ჯუზეპე როსი და თურქი ნიჰათი არიან.

როსისთვის ეს სეზონი პრიმერაში სადებიუტოა, თუმცა მან უკვე 7 გოლი გაიტანა და „პიჩიჩის" ტიტულისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში ლუის ფაბიანოს, სერხიო აგეროს, ლეო მესისა და დანიელ გუისას ერკინება.

ნიჰათი დებიუტანტი არ გახლავთ, ოსმალო კაცი ესპანელთა ლიგას „სოსიედადში" თამაშისას მიეჩვია და თავისი სიძლიერე „ვილიარეალშიც" დაამტკიცა. თურქსაც 7 გოლი აქვს გატანილი, 4 პრიმერადივიზიონში და 3 — უეფას თასზე.

მოკლედ, სენიორ პელეგრინის გუნდი პრიმერაშიც და ევროპაშიც მეტოქეთათვის ნამდვილ რისხვად იქცა. თუ „ყვითლებმა" ეს რიტმი შეინარჩუნეს, სახელოვან გრანდებს საგონებელში ჩააგდებენ — „ბარსა" და „ვალენსია" ცხრილში „ვილიარეალზე" დაბალ ადგილზე გასვლას უთუოდ ფიასკოდ შეაფასებენ.

და ეს ყველაფერი — საუკეთესო ფორმაში მყოფი ხუან რომან რიკელმეს გარეშე...

**ლადო ხომერიკი**

# ადრიანოს ფროიდი სჭირდება



**ხანგრძლივი** უთამაშებლობის გამო დეპრესიაში მყოფმა ადრიანომ განაცხადა — თუ „მანჩესტერ სიტი" მართლაც არის ჩემით დაინტერესებული, პრემიერლიგაში სიამოვნებით ვითამაშებდიო. ამბობდნენ, ბრაზილიელი ფორვარდი „ქალაქელ" როლანდო ბიანკიში გაიცვლებაო, მაგრამ...

„არც ადრიანოს და არც სხვა ფეხბურთელების ყიდვას არ ვაპირებთ — ამ მოთამაშეებს პრესა უსაფუძვლოდ გვიკავშირებს. ეტყობა, ხალხს ჰგონია, რომ ბევრი ფული გვაქვს და ყველას ყიდვა შეგვიძლია, მაგრამ ასე არ არის" — თქვა „სიტის" მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა.

ამის მერე ალაპარაკდნენ — ადრიანოს ყველამ ხელი ჰკრა და თუ იანვრამდე მსურველი არ გამოუჩნდა, შესაძლოა, „ინტერმა" მას საერთოდ გაუწყვიტოს კონტრაქტიო. თუმცა, იტალიური პრესის ბოლო ცნობების თანახმად, „ნერაძური" მზად არის, ფეხბურთელს დახმარების ხელი კიდევ ერთხელ გაუწოდოს.

„ინტერის" ვიცე-პრეზიდენტმა რინალდო გელფიმ, ტექნიკურმა დირექტორმა მარკო ბრანკამ და ადრიანოს აგენტმა ჟილმარ რინალდიმ კრება მოაწყვეს და ერთობლივად გადაწყვიტეს, ბრაზილიელი ფორვარდი რომელიმე ცნობილ ფსიქოლოგთან სამკურნალოდ ამერიკაში ან შვეიცარიაში გაუშვან. ამასთან, ადრიანო სპეციალური პროგრამით ივარჯიშებს და ეცდება, მდგომარეობიდან რაც შეიძლება მალე გამოვიდეს...

**ბოჩი ბანდელაძი**

# მარადიული თემა: ბარსელონელი მადრიდში



**რიკარდუ კვარესმა** სავარაუდოდ ესპანურ პრიმერას დაუბრუნდება. გეხსომებათ, პორტუგალიელი რამდენიმე წლის წინ „ბარსელონას" ფეხბურთელი იყო, ახლა კი ან მადრიდის „რეალს" მიაკითხავს, ანაც „ატლეტიკოს".

კვარესმას აგენტს „ატლეტიკოსთან" წინასწარი ხელშეკრულება ჰქონია გაფორმებული, თუმცა მთავარი, რა თქმა უნდა, ფეხბურთელის ნებაა, რიკარდუს კი, „მარკას" ცნობით, „რეალი" ნებავს.

„მინდა, „სანტიაგო ბერნაბეუზე" ვითამაშო. მადრიდის „რეალი" მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბია" — თქვა რიკარდუ კვარესმამ.

„ატლეტიკოს" პრეზიდენტმა ენრიკე სერესომ კი გამოაცხადა (სანამ პორტუგალიელი „რეალის" სიყვარულში გამოტყდებოდა), რომ რიკარდუს „ათლეტად" ქცევის შანსი ჯერაც არსებობს. თუმც, „მარკას" ვერსიით, „ვისენტე კალდერონის" გუნდის უფროსობამ პორტუგალიელი ფეხბურთელის ზრახვათა შესახებ უკვე ყველაფერი იცის. კვარესმა მალე „რეალის" აგენტებთან გამართავს მოლაპარაკებას.

**ლადო ხომერიკი**

# ვაშა ამ ახალ ჩელსის, ვაშა შენგვას!

## ცუდი ამბავი

„ჩელსისთვის“ ცუდი ამბავი ის არის, რომ კვირას, პრემიერლიგაში „ევერტონთან“ (1:1) მატჩისას, გუნდის პორტუგალიელმა მცველმა რიკარდუ კარვალიუმ ზურგზე ძვლები გაიბზარა და ექიმებმა ერთი თვის განმავლობაში ვარჯიში აუკრძალეს, შემდეგ კი რეაბილიტაციის დიდი პროცესი დაიწყება. კარვალიუ სამკურნალოდ და უქმობისთვის სამშობლოში დაბრუნდა. ის პორტუგალიის ნაკრების ექიმებმაც გასინჯეს.

ექიმი ენრიკე ჟონესი: „რიკარდოს მეორე, მესამე და მეოთხე მალა აქვს დაზიანებული და რვა კვირის განმავლობაში ფეხბურთს ველარ ითამაშებს.“

ასე და ამგვარად, ლონდონელთა თავკაცს, ავრაამ გრანტს დაშავებულთა სია ეზრდება. რიკარდო კარვალიუს გარდა ექიმებთან დადიან პეტრ ჩეხი, ჯონ ტერი და კიდევ ერთი პორტუგალიელი პაულუ ფერეირა.

## გრანტის სხვა პრობლემები

ამასობაში ლონდონელთა თავკაცი სხვა პრობლემების მოგვარებითაც არის დაკავებული: ავრაამ გრანტი ამბობს, რომ „ჩელსის“ რამდენიმე უკმაყოფილო მოთამაშესთან გულახდილი საუბარი ჰქონდა.

ვინ არიან ეს ფეხბურთელები? სტემფორდბრიჯელები ამის შესახებ არაფერს ამბობენ. როგორც ჩანს, სახელების და გვარების დასახელება ხელს არ აძლევთ. ერთი, რაც მათ ხმამაღლა და ხაზგასმით განაცხადეს ის იყო, რომ უკმაყოფილოთა შორის არ იყო დიდიე დროგბა.

ავრაამ გრანტი: „ყოველთვის შემიძლია გავაკონტროლო, როგორ იქცევიან ფეხბურთელები ვარჯიშებზე და თამაშების დროს. შესაბამისად, დაბეჯითებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ დიდიე ყოველ შეხვედრაში ასი პროცენტით იხარჯება და ეს ძალიან მახარებს. მეორე მხრივ, ხანდახან ჩემთან ზოგი ფეხბურთელი მოდის და უკმაყოფილებას გამოთქვამს. კერძოდ, ასეთი ორი მყავდა, მაგრამ მათი ვინაობის გამხელას ახლა აზრი არ აქვს.“

შორიდან მხოლოდ ის ჩანს, რომ გრანტის ხელში თავს მთლად კომფორტულად ვერ გრძნობენ ანდრეი შევჩენკო, შონ რაიტ-ფილიპსი და სალომონ კალუ. ისინი, უბრალოდ, იშვიათად თამაშობენ.

საინტერესო თემაა თავად გრანტის ურთიერთობა „ჩელსის“ გულშემატკივრებთან. ლონდონელთა თავკაცის თქმით, მას კარგად ესმის რატომაც აუბზუეს თავიდან ფანებმა ცხვირი.

„ჩვენ, ებრაელები თავს ყოველთვის სამყაროს ცენტრად მივიჩნევთ, ინგლისელები კი თავს ასეთებად ფეხბურთში მიიჩნევენ. მათთვის გაუგებარია, სად არის საფეხბურთო რუკაზე ისრაელი და როდესაც შეიტყვეს, რომ მათ დიდ კლუბს გაუგებარი საფეხბურთო ქვეყნის წარმომადგენელი გაწვრთნიდა, ცოტა არ იყოს, გაუკვირდათ და გაბრაზდნენ. ახლა, როდესაც დრო გავიდა, ყველაფერი რიგზეა, აქ, ლონდონში თავს ჩინებულად ვგრძნობ და „ჩელსის“ ხალხიც საუცხოოდ მეპყრობა. მათ ჩემი სწამთ. უკვე მეორე წელიწადია, რაც ინგლისში ვცხოვრობ, ასე რომ შემიძლია განვაცხადო, რომ პრემიერლიგაში ვერკვევი.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო პირველი წელიწადი, რომელიც „პორტსმუთში“ გავატარე. ვმუშაობდი პატარა კლუბში, რომელიც პრემიერლიგის დიდ სიურპრიზად იქცა. გამოგიტყდებით, მთელი ცხოვრება ამ ლიგაში მუშაობაზე ვოცნებობდი და ბედნიერი ვარ, ყველაფერი ასე სწრაფად რომ განვითარდა.

## ჯო კოულის ფიქრები

ავრაამ გრანტის გუნდში თავს კარგად გრძნობს ჯო კოული, რომელმაც საამისოდ ძველ და ახალ „ჩელსის“ შორის მკაფიო ხაზი გაავლო. 26 წლის ნახევარმცველმა ჟოზე მაურინიუს მონატრებაზე საკუთარ თავს ცივი უარი განუცხადა და თქვა, რომ რაც ხდება, მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესია და მეტი არაფერი.

„სანტიმენტების დრო არ არის. ფეხბურთელები და მწვრთნელები მიდიან და მოდიან, რასაც უბრალოდ უნდა შეეგუო. ამ სეზონში „ჩელსიში“ უამრავი რამ მოხდა, მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია, პროცესები წინ მიდის.

აქ ყველაფერი ცხადია: მოვიდა ახალი მწვრთნელი, მოიტანა ახალი იდეები და თამაშის ახალ სტილს ნერგავს. ერთი სიტყვით, ერთადერთი, რაც ამ ვითარებაში შეგვიძლია, ყურადღების მაქსიმალური მობილიზება გახლავთ. უნდა დავუკვირდეთ რას გვთხოვს ახალი თავკაცი და ყველა ღონე ვიხმაროთ, რათა ის მოედანზე განვახორციელოთ.

ვარ თუ არა კმაყოფილი? ისეთი ხასიათი მაქვს, რომ კმაყოფილი არასდროს ვარ, მაგრამ ვიმეორებ, ეს ჩემი თავისებურებაა. მე ყოველთვის ვეჩხუბები საკუთარ თავს და ვცდილობ, მეტს და მეტს მივაღწიო. ხალხი მეუბნება, რომ კარგად ვთამაშობ და ეს მოსასმენად ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ, როგორც უკვე გითხარით, თავს მეტს ვთხოვ. კმაყოფილმა ერთხელაც რომ დავიძინო, მეორე დღეს ცუდ ფორმაში გავიღვიძებ.“

საინტერესოა, რომ ჯო კოულს მაურინიუ მალიმალ წკეპლავდა — თუ გაბრაზება იყო საჭირო, მწვრთნელი სწორედ კოულს მიადგებოდა ხოლმე და იცით რატომ? იმიტომ, რომ გაწკეპვლის შემდეგ ახალ იდეას ყველაზე მალე კოული იგებდა და მოედანზე სწორად გადაჰქონდა.

როდესაც პორტუგალიელი მწვრთნელი გუნდიდან გაუშვეს, კოტდივუარელი ვარსკვლავი დიდიე დროგბა ტიროდა. მან მაუს წასვლას სადღაც „მამის დაკარგვაც“ კი უწოდა. კოულს კი მამა ცხადია არ დაუკარგავს. მან ცელქი სკოლის ბიჭუნას იმიჯი შეინარჩუნა და გართობისთვის, თავისი სიამოვნებისთვის განაგრძო ფეხბურთის თამაში. ამ სეზონში მან „ჩელსის“ ძირითადში 15 თამაში ჩაატარა. აქედან, რაც მწვრთნელი ავრაამ გრანტია, ანუ 20 სექტემბრიდან, მხოლოდ სამი გამოტოვა. ყოფილი ვესტჰემელი ამბობს, რომ მისი წარმატების მთავარი საიდუმლო საკუთარი თავის რწმენა და თამაშის წყურვილია. ის გახლდათ ერთ-ერთი მათგანი, ვინც ამასწინათ, „მანჩესტერ სიტის“ 6:0 რბევაში დიდი როლი ითამაშა.

„წინა სეზონის ტრავმებმა კარგა ხანს მაწვალა, მაგრამ ახლა ყველაფერი კარგადაა — ამბობს კოული — ზაფხულში, სეზონისწინა წვრთნების დროს, მცირე ტკივილები ჯერ კიდევ მქონდა, მაგრამ ახლა თავს ჩინებულად ვგრძნობ. რა განსხვავებაა ახლანდელ და წინა „ჩელსის“ შორის? ამაზე დაწვრილებით ლაპარაკს არ შევუდგები, რადგან არ მინდა, მეტოქე გუნდების მწვრთნელებს საქმე გავუიოლო. „ჩელსის“ ფანები ყველაფერს თვალნათლივ ხედავენ. განსაკუთრებით ცხადად ჩვენი თამაშის სტილი „მანჩესტერ სიტისთან“ შეხვედრაში გამოჩნდა, თუმცა ამ ნათქვამს ისე ნუ გაიგებთ, რომ ყველა თამაშის 6:0 მოგებას ვიმუქრებოდე. ბოლო ხანს კარგად ვთამაშობთ, რაც იმის მანიშნებელია, რომ ახალი მწვრთნელის იდეებს კარგად ვითვისებთ. სხვათა შორის, აქ მარტო მწვრთნელების კარგ მუშაობაშიც არ არის საქმე, აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ კლუბში ყველა კარგად მუშაობს. ჩვენ ამიერიდან ახალ სტილზე გვინდა გადასვლა და სწორედ აქეთკენ მიგვყავს საქმე. სეზონის დასაწყისში ცუდად ვთამაშობდით, მაგრამ ახლა საკუთარი ხელწერა ვიპოვნეთ. „სიტისთან“ ერთმანეთს ჩინებულ პასებსაც ვაწოდებდით და გადაადგილებებშიც ჩინებულნი ვიყავით. ამიტომაც გავიტანეთ ბევრი გოლი.

რასაკვირველია, ფეხბურთი ფეხბურთია და ჩვენი ხასიათის გამოცდა კიდევ არაერთხელ გველის. მთავარია, არჩეულ კურსს ჯიუტად არ გადავუხვიოთ. რამდენ კლუბში მითამაშია და გამოცდილება მკარნახობს, მთავარი სწორედ ეს არის. ჩვენ რამდენიმე შესანიშნავი მატჩი ჩავატარეთ სტუმრად, მაგალითად „ვალენსიასთან“, „ბოლტონთან“, „მიდლსბროსთან“... კარგი მატჩები გვქონდა „სტემფორდ ბრიჯზეც“, რის მაგალითად „შალკესთან“ შეხვედრის მოტანა შეიძლება. ეს იყო კარგი თამაში, კარგი გუნდის წინააღმდეგ.

თუ პრემიერლიგაზე ვილაპარაკებთ, ვფიქრობ, სანამ საშობაო ეკვატორს არ გადავლახავთ, ცხრილში ჩახედვას მაინც და მაინც დიდი აზრიც არ აქვს. ამაზე კაცმა დრო ნამდვილად არ უნდა დახარჯოს“.

ბოლო ტურში, კვირას, „ჩელსის“ „ევერტონთან“ ჰქონდა თამაში, 1:0-საც იგებდა, მაგრამ შეხვედრის მიწურულს მეტოქე გუნდის ნახევარმცველმა ტიმ კეჰილმა ულამაზესი მაკრატელა დარტყმით გაუთანაბრა ანგარიში და შინ მხოლოდ ერთი ქულა გაატანა.

„დიახ, „მანჩესტერისა“ და „არსენალისგან“ ხელის ერთ გაწვდენაზე ვიყავით. სამწუხაროა, მაგრამ წინ კიდევ დიდი სამუშაო გველის და ჩვენი ძალებით, ეჭვი არ არის, დიდ შედეგებს მივაღწევთ.“

## და ეჰ, საწყალი მაუ

ჟოზე მაურინიუ კი, ამასობაში, პორტუგალიაში დამჯდარა და იქიდან ეომება... არსენ ვენგერს. ის ამბობს, რომ სამ წელიწადში გაცილებით მეტი სიკეთე მოუტანა ინგლისურ ფეხბურთს, ვიდრე „არსენალის“ თავკაცმა 11 წლის განმავლობაში.

„ვენგერისგან განსხვავებით წარმატების ჩემეულ კონცეფციაში ინგლისელი ფეხბურთელების მონაწილეობა ფართოდ შედიოდა. გამარჯვებული „ჩელსი“ მჭირდებოდა, ოღონდ კლუბის სახელს არასდროს დავაყენებდი რისკის ქვეშ და არავის ვათქმევინებდი, რომ ინგლისელი ფეხბურთელები არ გვყავდა. ინგლისელი ხალხი იოლად არ პატიობს კლუბებს, რომლებიც ჩემპიონები მხოლოდ უცხოელი ფეხბურთელების ხარჯზე ხდებიან. გახსოვთ, რამდენს ლაპარაკობდნენ, რომ „ჩელსი“ ახალი ფეხბურთელების ყიდვაზე დიდძალ ფულს ხარჯავდა? და განა ახალი გუნდის ასაშენებლად „არსენალმა“ ნაკლები დახარჯა? გახსოვთ, როგორი ფეხბურთელები იყიდა ვენგერმა: მარკ ოვერმარსი, ტიერი ანრი, დენის ბერხკამპი, პატრიკ ვიეირა, ემანუელ პეტი და ბევრი, ბევრი სხვა. როგორ გგონიათ, ისინი „არსენალს“ ვინმემ აჩუქა? რასაკვირველია არა და როდესაც ამ ფეხბურთელებით ვენგერმა პრემიერლიგის ტიტული მოიგო — ის მართლა დიდი მწვრთნელია — ხალხის სიყვარულიც მოინადირა.“

საინტერესოა, რომ ამაზე არსენ ვენგერმა ოთხშაბათს ასე უპასუხა: „ჩემს ჩამოსვლამდე, 30 წლის განმავლობაში, მხოლოდ ინგლისელი მოთამაშეებით ამ ქვეყნის ფეხბურთი წარმატებას ვერ აღწევდა. აქ 1996 წელს, ევროპის ჩემპიონატის დროს ჩამოვედი და მას მერე ინგლისის ნაკრებიც კი გაცილებით უკეთ გამოდის“.

თუმცა, ვენგერს და მისი მოსაზრების სისწორეს „ჩელსისადმი“ მიძღვნილ წერილში, მოდი, თავი დავანებოთ და ისევ მაურინიუს დავუბრუნდეთ, რომელიც აბრამოვიჩს და მის პოლიტიკას იხსენებს:

„ხალხი აბრამოვიჩს ზიზღით უყურებდა და ამიტომ ეგონა, რომ „ჩელსი“ მისი ფულით მხოლოდ ხარბი ფეხბურთელების შეყრას ცდილობდა. იმხანად, მოთამაშეთა ჩემს გემოზე შესაძენად ხელები მთლად თავისუფალი არ მქონდა, მაგრამ ყველა ღონე ვიხმარე, რათა ვითარება ჩემი გეგმის კალაპოტში მომექცია და ბალანსი ინგლისელ და უცხოელ ფეხბურთელებს შორის არ დარღვეულიყო.“

**პაპუნა ქედია**








# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 81 | საონსი-ჰადერსფილდი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 72 | ჰოლსოლი-ლუტონი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 73 | როვერსი-მილუოლი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 74 | ქრიუ-ნორთჰემპტონი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 75 | დონკასტერი-ტრანმერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 77 | ლიდსი-სუინდონი | 1.45 | 3.70 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.33 |
| 16:30 | 78 | ლეიტონი-ბრაიტონი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 79 | ოლდემი-პორტ ველი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 19:00 | 80 | საუთენდი-ჩელტენემი | 1.45 | 3.70 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.33 |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 76 | ჰარტლპული-ბორნმუთი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 17:30 | 83 | იოვილი-ჯილინგემი | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 84 | შრიუსბერი-ბარნეტი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 85 | სტოკპორტი-ჰერეფორდი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 86 | აკრინგტონი-როტერჰემი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 87 | უიკომბი-ლინკოლნი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 19:00 | 88 | ბრენტფორდი-დარლინგტონი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 19:00 | 89 | ბერი-პიტერბრო | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 19:00 | 90 | ჩესტერი-დონსი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 19:00 | 92 | დაგ ენდ რედი-ბრედფორდი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 93 | გრიმსბი-მორიკომბი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 95 | ნოტსი-მაკლსფილდი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **კონფერენსი** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 96 | ქროული-ტორკი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 97 | იორკი-სალისბერი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 19:00 | 98 | დროილსდენი-სტეფორდი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 19:00 | 99 | ექსეტერი-ბარტონი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 100 | ოქსფორდი-ებსფლითი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 101 | კემბრიჯი-ნორთვიჩი | 1.30 | 4.40 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.83 |
| 19:00 | 102 | კიდერმინსტერი-უოკინგი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 103 | ფორესტ გრინი-ჰისტონი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 104 | სტივენეიჯი-ჰალიფაქსი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 19:00 | 105 | ალდერშოტი-რაშდენი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 19:00 | 106 | ალტრინჰემი-ვეიმუთი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 19:00 | 107 | გრეისი-ფარსლი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 598 | არბროთი-სტრანრარი | 2.25 | 3.40 | 2.60 | 1.35 | 1.20 | 1.47 |
| | | **ესპანეთი** | | | | | | |
| | | **II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 171 | გრანადა -ალბასეტე | 2.00 | 3.00 | 3.55 | 1.20 | 1.27 | 1.62 |
| 23:00 | 173 | სევილია ბ-სპორტინგი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 21:30 | 174 | მალაგა -ფეროლი | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| 22:00 | 175 | ტარაგონა-სოსიედადი | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 165 | ჰერკულესი-სელტა | 2.25 | 2.90 | 3.00 | 1.26 | 1.28 | 1.47 |
| 20:00 | 166 | კასტელონი-ეიბარი | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 20:00 | 167 | კორდობა-ეხიდო | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 21:00 | 168 | ალავესი-ლას პალმასი | 1.75 | 3.10 | 4.40 | 1.11 | 1.25 | 1.81 |
| 21:00 | 169 | სალამანკა-ელჩე | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 21:00 | 170 | ტენერიფე-სერესი | 1.80 | 3.10 | 4.10 | 1.13 | 1.25 | 1.76 |
| 23:30 | 172 | კადისი-ნუმანსია | 3.00 | 2.90 | 2.30 | 1.47 | 1.30 | 1.28 |
| | | **საფრანგეთი** | | | | | | |
| | | **II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 599 | მონპელიე-სედანი | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| | | **ჰოლანდია** | | | | | | |
| | | **II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 196 | ვენდამი-ჰელმონდი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 23:00 | 197 | კამბური-ჰაარლემი | 1.80 | 3.40 | 3.70 | 1.17 | 1.21 | 1.77 |
| 23:00 | 198 | ტელსტარი-სიტარდი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:00 | 199 | მაასტრიხტი-დენ ბოსხი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 23:00 | 200 | ზვოლე-დორდრეხტი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 23:00 | 201 | ეინდჰოვენი-იგლზი | 3.80 | 3.20 | 1.80 | 1.73 | 1.22 | 1.15 |
| 23:00 | 202 | როზენდალი-ემენი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 23:00 | 203 | ოსი-ვალვაიკი | 4.00 | 3.30 | 1.75 | 1.80 | 1.21 | 1.14 |
| 23:00 | 204 | ომნივორლდი-ვოლენდამი | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 205 | აპელდორნი-დენ ჰააგი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| | | **მჩ 2010 შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 52 | არგენტინა-ბოლივია | 1.11 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.03 | 4.53 |
| 23:45 | 54 | კოლუმბია-ვენესუელა | 1.50 | 3.50 | 5.70 | 1.04 | 1.18 | 2.16 |
| 23:45 | 55 | პარაგვაი-ეკვადორი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 53 | პერუ-ბრაზილია | 4.80 | 3.40 | 1.60 | 1.99 | 1.20 | 1.08 |
| 23:00 | 56 | ურუგვაი-ჩილე | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| | | **ეჩ. 2008 შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 1 | სერბეთი-ყაზახეთი | 1.07 | 7.50 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.00 |
| 23:45 | 2 | სერბეთი-ყაზახეთი 0:2 | 1.65 | 3.60 | 3.00 | | | |
| 18:00 | 3 | ფინეთი-აზერბაიჯანი | 1.07 | 8.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.21 |
| 23:30 | 7 | პოლონეთი-ბელგია | 1.47 | 3.60 | 6.50 | 1.04 | 1.19 | 2.31 |
| 23:30 | 8 | პოლონეთი-ბელგია 0:1 | 2.20 | 3.30 | 2.30 | | | |
| 22:00 | 9 | ლიტვა-უკრაინა | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 22:00 | 10 | ლიტვა-უკრაინა 1:0 | 1.80 | 3.50 | 3.00 | | | |
| 21:00 | 11 | შოტლანდია-იტალია | 3.70 | 3.10 | 1.95 | 1.68 | 1.27 | 1.19 |
| 21:00 | 12 | მოლდოვა-უნგრეთი | 2.70 | 3.10 | 2.40 | 1.44 | 1.27 | 1.35 |
| 22:00 | 13 | ნორვეგია-თურქეთი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:30 | 14 | საბერძნეთი-მალტა | 1.05 | 8.50 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 6.34 |
| 23:30 | 15 | საბერძნეთი-მალტა 0:2 | 1.50 | 4.00 | 3.30 | | | |
| 23:30 | 16 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.40 | 3.70 | 7.50 | 1.01 | 1.17 | 2.47 |
| 23:30 | 17 | ჩეხეთი-სლოვაკეთი 0:1 | 2.10 | 3.40 | 2.50 | | | |
| 23:00 | 18 | გერმანია-კვიპროსი | 1.07 | 8.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.21 |
| 19:00 | 20 | უელსი-ირლანდია | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 23:00 | 21 | მაკედონია-ხორვატია | 5.30 | 3.50 | 1.55 | 2.10 | 1.19 | 1.07 |
| 22:00 | 22 | ისრაელი-რუსეთი | 6.70 | 3.60 | 1.45 | 2.34 | 1.19 | 1.03 |
| 21:00 | 23 | ანდორა-ესტონეთი | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 21:00 | 24 | ანდორა-ესტონეთი 1:0 | 2.40 | 3.50 | 2.15 | | | |
| 23:45 | 25 | ესპანეთი-შვედეთი | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 23:45 | 26 | ჩრდ. ირლანდია-დანია | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 20:00 | 27 | ლატვია-ლიხტენშტეინი | 1.27 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.12 | 3.10 |
| 20:00 | 28 | ლატვია-ლიხტენშტეინი 0:1 | 1.70 | 3.80 | 3.00 | | | |
| 20:00 | 29 | ბულგარეთი-რუმინეთი | 2.35 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| 23:00 | 30 | ალბანეთი-ბელარუსი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 23:30 | 31 | ჰოლანდია-ლუქსემბურგი | 1.01 | 11.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 8.04 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 587 | ავსტრია-ინგლისი | 4.50 | 3.30 | 1.65 | 1.90 | 1.20 | 1.10 |
| 23:45 | 588 | საფრანგეთი-მაროკო | 1.20 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.05 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 589 | ავსტრალია-ნიგერია(ნ) | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| | | **ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 33 | იტალია(21)-აზერბაიჯანი(21) | 1.03 | 8.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 6.06 |
| 22:00 | 34 | ინგლისი(21)-ბულგარეთი(21) | 1.22 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.07 | 3.21 |
| 18:30 | 35 | ჩერნოგორია(21)-ირლანდია(21) | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| 23:00 | 36 | ესპანეთი(21)-პოლონეთი(21) | 1.30 | 4.20 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.69 |
| 23:00 | 37 | ჰოლანდია(21)-მაკედონია(21) | 1.18 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.06 | 3.53 |
| 16:00 | 38 | ლიტვა(21)-დანია(21) | 4.80 | 3.40 | 1.60 | 1.99 | 1.20 | 1.08 |
| 21:00 | 39 | ავსტრია(21)-ბელგია(21) | 1.80 | 3.20 | 3.70 | 1.15 | 1.21 | 1.71 |
| 16:30 | 40 | კვიპროსი(21)-სლოვაკეთი(21) | 3.25 | 3.20 | 1.95 | 1.61 | 1.21 | 1.21 |
| 20:30 | 41 | ბელარუსი(21)-სან მარინო(21) | 1.05 | 8.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.21 |
| 23:30 | 42 | ჩრდ. ირლანდია(21)-ლუქსემბურგი(21) | 1.07 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 4.77 |
| 20:00 | 50 | რუმინეთი(21)-მალტა(21) | 1.12 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.02 | 4.00 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 43 | ფარერები(21)-ალბანეთი(21) | 3.00 | 3.20 | 2.05 | 1.54 | 1.21 | 1.24 |
| 17:30 | 44 | საბერძნეთი(21)-ხორვატია(21) | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 19:00 | 45 | ჩეხეთი(21)-თურქეთი(21) | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 19:00 | 46 | უკრაინა(21)-ლიხტენშტეინი(21) | 1.03 | 8.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 5.71 |
| 19:00 | 47 | შვეიცარია(21)-ესტონეთი(21) | 1.22 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.07 | 3.21 |
| 17:30 | 48 | სლოვენია(21)-შოტლანდია(21) | 2.35 | 3.20 | 2.50 | 1.35 | 1.21 | 1.40 |
| 22:00 | 49 | უელსი(21)-ბოსნია(21) | 1.80 | 3.20 | 3.70 | 1.15 | 1.21 | 1.71 |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 51 | ლატვია(21)-უნგრეთი(21) | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 594 | ლეგია-გროცლინი | 1.70 | 3.35 | 3.90 | 1.12 | 1.18 | 1.80 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 595 | ოდრა-ზაგლებე ლ | 2.60 | 3.00 | 2.40 | 1.39 | 1.24 | 1.33 |
| 21:00 | 596 | რუხი-ლოძი | 1.70 | 3.30 | 3.70 | 1.12 | 1.16 | 1.74 |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 597 | კორონა-კრაკოვია | 1.55 | 3.40 | 4.40 | 1.06 | 1.14 | 1.91 |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **შვედეთი** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 303 | ტიმრე-ჰვ 71 | 2.10 | 4.10 | 2.20 | 1.38 | 1.07 | 1.43 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 304 | ბრიუნესი-ფეროესტადი | 2.30 | 4.10 | 2.05 | 1.47 | 1.08 | 1.36 |
| 21:00 | 305 | ლულეო-მოდო | 2.10 | 4.10 | 2.20 | 1.38 | 1.07 | 1.43 |
| 21:00 | 306 | ლინჩიოპინგი-სიოდერტელიე | 1.40 | 4.20 | 3.80 | 1.04 | 1.02 | 1.99 |
| 21:00 | 307 | მორა-აიკ | 2.00 | 4.10 | 2.40 | 1.34 | 1.09 | 1.51 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 15 ნოემბერი | | | | | | |
| 22:30 | 375 | აისბარენი-ინგოლშტადი | 1.70 | 4.20 | 2.80 | 1.21 | 1.05 | 1.67 |
| | | 16 ნოემბერი | | | | | | |
| 20:30 | 373 | აუგსბურგი-იზერლონი | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 22:30 | 374 | დიუსელდორფი-მანჰაიმი | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| 22:30 | 377 | კიოლნი-ვოლფსბურგი | 1.30 | 4.50 | 5.50 | 1.00 | 1.05 | 2.47 |
| 22:30 | 378 | კრეფელდი-ფრანკფურტი | 2.30 | 4.10 | 2.00 | 1.47 | 1.06 | 1.34 |
| 22:30 | 379 | ნიურნბერგი-დუისბურგი | 1.15 | 4.80 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 2.56 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | კალათბურთი | | | | | | |
| | | ევროლიგა | | | | | | |
| | | 15 ნოემბერი | | | | | | |
| 23:30 | 538 | პანათინაიკოსი-ბარსელონა | 1.30 | 12.00 | 3.00 | 1.17 | 1.00 | 2.40 |
| 23:30 | 541 | რომა-ბამბერგი | 1.20 | 12.00 | 3.50 | 1.09 | 1.00 | 2.70 |
| 22:15 | 542 | ჟალგირისი-ოლიმპია | 1.30 | 12.00 | 3.20 | 1.17 | 1.00 | 2.52 |
| 23:30 | 543 | ტაუ-სიენა | 1.40 | 12.00 | 2.50 | 1.25 | 1.00 | 2.06 |
| 22:15 | 546 | ეფესი-ლე მანი | 1.05 | 12.00 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 3.77 |
| 23:00 | 547 | უნიკახა-მაკაბი | 1.40 | 12.00 | 2.60 | 1.25 | 1.00 | 2.13 |
| | | ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო თასი.იაპონია | | | | | | |
| | | 15 ნოემბერი | | | | | | |
| 13:00 | 600 | იაპონია-აშშ | 3.00 | 1.20 | | | | |
| 13:00 | 601 | პოლონეთი-სამ კორეა | 1.12 | 4.50 | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10007 | პოლონეთი-ბელგია | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10009 | ლიტვა-უკრაინა | 3.90 | 2.00 | 2.25 | 1.32 | 1.42 | 1.05 |
| 10011 | შოტლანდია-იტალია | 4.10 | 2.00 | 2.30 | 1.34 | 1.47 | 1.06 |
| 10012 | მოლდოვა-უნგრეთი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10013 | ნორვეგია-თურქეთი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10016 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10020 | უელსი-ირლანდია | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10021 | მაკედონია-ხორვატია | 5.00 | 2.10 | 2.00 | 1.47 | 1.42 | 1.02 |
| 10022 | ისრაელი-რუსეთი | 5.50 | 2.10 | 1.80 | 1.51 | 1.35 | 1.00 |
| 10023 | ანდორა-ესტონეთი | 5.50 | 2.10 | 1.80 | 1.51 | 1.35 | 1.00 |
| 10025 | ესპანეთი-შვედეთი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10026 | ჩრდ. ირლანდია-დანია | 3.90 | 2.00 | 2.25 | 1.32 | 1.42 | 1.05 |
| 10027 | ლატვია-ლიხტენშტეინი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10029 | ბულგარეთი-რუმინეთი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10030 | ალბანეთი-ბელარუსი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10053 | პერუ-ბრაზილია | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10054 | კოლუმბია-ვენესუელა | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10055 | პარაგვაი-ეკვადორი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10056 | ურუგვაი-ჩილე | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10587 | ავსტრია-ინგლისი | 4.90 | 2.10 | 2.10 | 1.47 | 1.47 | 1.04 |
| 10588 | საფრანგეთი-მაროკო | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10589 | ავსტრალია-ნიგერია(ნ) | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10599 | მონპელიე-სედანი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11007 | პოლონეთი-ბელგია | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11009 | ლიტვა-უკრაინა | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11011 | შოტლანდია-იტალია | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11012 | მოლდოვა-უნგრეთი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11013 | ნორვეგია-თურქეთი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11016 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11020 | უელსი-ირლანდია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11021 | მაკედონია-ხორვატია | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11022 | ისრაელი-რუსეთი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11023 | ანდორა-ესტონეთი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11025 | ესპანეთი-შვედეთი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11026 | ჩრდ. ირლანდია-დანია | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11027 | ლატვია-ლიხტენშტეინი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11029 | ბულგარეთი-რუმინეთი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11030 | ალბანეთი-ბელარუსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11053 | პერუ-ბრაზილია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11054 | კოლუმბია-ვენესუელა | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11055 | პარაგვაი-ეკვადორი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11056 | ურუგვაი-ჩილე | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11587 | ავსტრია-ინგლისი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11588 | საფრანგეთი-მაროკო | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11589 | ავსტრალია-ნიგერია(ნ) | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11599 | მონპელიე-სედანი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12007 | პოლონეთი-ბელგია | 1.70 | 1.90 |
| 12009 | ლიტვა-უკრაინა | 1.60 | 2.00 |
| 12011 | შოტლანდია-იტალია | 1.60 | 1.90 |
| 12012 | მოლდოვა-უნგრეთი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | ნორვეგია-თურქეთი | 1.80 | 1.70 |
| 12016 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.90 | 1.70 |
| 12020 | უელსი-ირლანდია | 1.70 | 1.90 |
| 12021 | მაკედონია-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 12022 | ისრაელი-რუსეთი | 1.70 | 1.90 |
| 12023 | ანდორა-ესტონეთი | 1.90 | 1.60 |
| 12025 | ესპანეთი-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 12026 | ჩრდ. ირლანდია-დანია | 1.70 | 1.80 |
| 12027 | ლატვია-ლიხტენშტეინი | 2.00 | 1.50 |
| 12029 | ბულგარეთი-რუმინეთი | 1.60 | 2.00 |
| 12030 | ალბანეთი-ბელარუსი | 1.60 | 1.90 |
| 12053 | პერუ-ბრაზილია | 2.00 | 1.60 |
| 12054 | კოლუმბია-ვენესუელა | 1.90 | 1.70 |
| 12055 | პარაგვაი-ეკვადორი | 1.70 | 1.90 |
| 12056 | ურუგვაი-ჩილე | 1.70 | 1.90 |
| 12587 | ავსტრია-ინგლისი | 1.70 | 1.90 |
| 12588 | საფრანგეთი-მაროკო | 1.95 | 1.60 |
| 12589 | ავსტრალია-ნიგერია(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 12599 | მონპელიე-სედანი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13007 | პოლონეთი-ბელგია | 1.80 | 1.70 |
| 13009 | ლიტვა-უკრაინა | 1.70 | 1.80 |
| 13011 | შოტლანდია-იტალია | 1.70 | 1.80 |
| 13012 | მოლდოვა-უნგრეთი | 1.70 | 1.80 |
| 13013 | ნორვეგია-თურქეთი | 1.60 | 1.90 |
| 13016 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.70 | 1.90 |
| 13020 | უელსი-ირლანდია | 1.70 | 1.90 |
| 13021 | მაკედონია-ხორვატია | 1.70 | 1.80 |
| 13022 | ისრაელი-რუსეთი | 1.70 | 1.80 |
| 13023 | ანდორა-ესტონეთი | 1.70 | 1.90 |
| 13025 | ესპანეთი-შვედეთი | 1.70 | 1.80 |
| 13026 | ჩრდ. ირლანდია-დანია | 1.70 | 1.90 |
| 13027 | ლატვია-ლიხტენშტეინი | 2.00 | 1.60 |
| 13029 | ბულგარეთი-რუმინეთი | 1.80 | 1.70 |
| 13030 | ალბანეთი-ბელარუსი | 1.70 | 1.80 |
| 13053 | პერუ-ბრაზილია | 1.90 | 1.70 |
| 13054 | კოლუმბია-ვენესუელა | 1.90 | 1.70 |
| 13055 | პარაგვაი-ეკვადორი | 1.70 | 1.90 |
| 13056 | ურუგვაი-ჩილე | 1.90 | 1.70 |
| 13587 | ავსტრია-ინგლისი | 1.70 | 1.90 |
| 13588 | საფრანგეთი-მაროკო | 2.10 | 1.50 |
| 13589 | ავსტრალია-ნიგერია(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 13599 | მონპელიე-სედანი | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14007 | პოლონეთი-ბელგია | 1.30 | 2.50 |
| 14009 | ლიტვა-უკრაინა | 2.20 | 1.70 |
| 14011 | შოტლანდია-იტალია | 2.20 | 1.70 |
| 14012 | მოლდოვა-უნგრეთი | 1.95 | 1.85 |
| 14013 | ნორვეგია-თურქეთი | 1.75 | 2.10 |
| 14016 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.20 | 2.60 |
| 14020 | უელსი-ირლანდია | 1.90 | 1.90 |
| 14021 | მაკედონია-ხორვატია | 2.50 | 1.30 |
| 14022 | ისრაელი-რუსეთი | 2.60 | 1.20 |
| 14023 | ანდორა-ესტონეთი | 2.60 | 1.20 |
| 14025 | ესპანეთი-შვედეთი | 1.30 | 2.50 |
| 14026 | ჩრდ. ირლანდია-დანია | 2.20 | 1.70 |
| 14029 | ბულგარეთი-რუმინეთი | 1.80 | 2.00 |
| 14030 | ალბანეთი-ბელარუსი | 1.65 | 2.30 |
| 14053 | პერუ-ბრაზილია | 2.50 | 1.30 |
| 14054 | კოლუმბია-ვენესუელა | 1.30 | 2.50 |
| 14055 | პარაგვაი-ეკვადორი | 1.45 | 2.40 |
| 14056 | ურუგვაი-ჩილე | 1.45 | 2.40 |
| 14587 | ავსტრია-ინგლისი | 2.40 | 1.45 |
| 14589 | ავსტრალია-ნიგერია(ნ) | 2.00 | 1.80 |
| 14599 | მონპელიე-სედანი | 1.75 | 2.10 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15007 | პოლონეთი-ბელგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ლიტვა-უკრაინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | შოტლანდია-იტალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | მოლდოვა-უნგრეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ნორვეგია-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | უელსი-ირლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | მაკედონია-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | ისრაელი-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ანდორა-ესტონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | ესპანეთი-შვედეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15026 | ჩრდ. ირლანდია-დანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15029 | ბულგარეთი-რუმინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15030 | ალბანეთი-ბელარუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15053 | პერუ-ბრაზილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | კოლუმბია-ვენესუელა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15055 | პარაგვაი-ეკვადორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15056 | ურუგვაი-ჩილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15587 | ავსტრია-ინგლისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15588 | საფრანგეთი-მაროკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15589 | ავსტრალია-ნიგერია(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15599 | მონპელიე-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფორა (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16007 | პოლონეთი-ბელგია | 1.12 | 4.60 |
| 16009 | ლიტვა-უკრაინა | 2.40 | 1.45 |
| 16011 | შოტლანდია-იტალია | 2.45 | 1.40 |
| 16012 | მოლდოვა-უნგრეთი | 1.80 | 1.80 |
| 16013 | ნორვეგია-თურქეთი | 1.45 | 2.45 |
| 16016 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.11 | 5.70 |
| 16021 | მაკედონია-ხორვატია | 3.60 | 1.23 |
| 16022 | ისრაელი-რუსეთი | 4.20 | 1.15 |
| 16023 | ანდორა-ესტონეთი | 4.20 | 1.15 |
| 16025 | ესპანეთი-შვედეთი | 1.22 | 3.40 |
| 16026 | ჩრდ. ირლანდია-დანია | 2.40 | 1.45 |
| 16029 | ბულგარეთი-რუმინეთი | 1.65 | 2.05 |
| 16030 | ალბანეთი-ბელარუსი | 1.32 | 3.00 |
| 16053 | პერუ-ბრაზილია | 3.30 | 1.25 |
| 16054 | კოლუმბია-ვენესუელა | 1.14 | 4.70 |
| 16055 | პარაგვაი-ეკვადორი | 1.23 | 3.60 |
| 16056 | ურუგვაი-ჩილე | 1.23 | 3.60 |
| 16587 | ავსტრია-ინგლისი | 3.00 | 1.30 |
| 16588 | საფრანგეთი-მაროკო | 1.02 | 6.70 |
| 16589 | ავსტრალია-ნიგერია(ნ) | 1.82 | 1.82 |
| 16599 | მონპელიე-სედანი | 1.50 | 2.30 |

### გოლი:წყვილი-კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17007 | პოლონეთი-ბელგია | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ლიტვა-უკრაინა | 1.85 | 1.95 |
| 17011 | შოტლანდია-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17012 | მოლდოვა-უნგრეთი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ნორვეგია-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | უელსი-ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17021 | მაკედონია-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17022 | ისრაელი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ანდორა-ესტონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17025 | ესპანეთი-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17026 | ჩრდ. ირლანდია-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17027 | ლატვია-ლიხტენშტეინი | 1.85 | 1.95 |
| 17029 | ბულგარეთი-რუმინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17030 | ალბანეთი-ბელარუსი | 1.85 | 1.95 |
| 17053 | პერუ-ბრაზილია | 1.85 | 1.95 |
| 17054 | კოლუმბია-ვენესუელა | 1.85 | 1.95 |
| 17055 | პარაგვაი-ეკვადორი | 1.85 | 1.95 |
| 17056 | ურუგვაი-ჩილე | 1.85 | 1.95 |
| 17587 | ავსტრია-ინგლისი | 1.85 | 1.95 |
| 17588 | საფრანგეთი-მაროკო | 1.85 | 1.95 |
| 17589 | ავსტრალია-ნიგერია(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17599 | მონპელიე-სედანი | 1.85 | 1.95 |



# უგრეხელიძემ ნექტარი გასინჯა

## ქართველი ცენტრი ბოსნიას უშინაურდება

**სეზონის წინ ბოსნიურ „ნექტარში" გადასული დავით უგრეხელიძის დებიუტი გასულ კვირას შედგა. ამ ქვეყანაში ეროვნული ჩემპიონატი ლამის ერთი თვეა, რაც დაიწყო, მაგრამ „უგრეს" ფეხის ტრავმა აწუხებდა და მკურნალობდა. ბოსნიის ჩემპიონატის გასულ ტურში „ნექტარი" დერბის დარ მატჩში „იგოკეას" შეხვდა და ქართველმა ცენტრმა მცირე ხნით, თუმცა დამაკმაყოფილებლად ითამაშა. გუშინ დავით უგრეხელიძეს ბოსნიაში შევეხმიანეთ...**

**— დავით, გილოცავთ დებიუტს. კმაყოფილი ხარ?**

— უკმაყოფილების საფუძველი არ მაქვს, რადგან თითქმის ერთი თვე უქმად ვიყავი და ვარჯიშს სულ რაღაც 4-5 დღის წინ შევუდექი. ამდენი ხანი რომ უვარჯიშებელი იქნები, კარგ თამაშზე ამბიციაც არ უნდა გქონდეს. არც ველოდი, რომ მათამაშებდნენ, მაგრამ მწვრთნელმა მეორე მეოთხედში მოულოდნელად მოედანზე შემიყვანა. ცოტა ვითამაშე, მაგრამ საკმაოდ შედეგიანად. მთლიანობაში ათი წუთიც არ ვყოფილვარ მოედანზე, მაგრამ 4 ქულა, 3 მოხსნა და ერთი ჩაჭრა მომიგროვდა. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ მატჩი დასანანად წავაგეთ ბოლო წამებზე.

**— „ნექტარი" რომელ ადგილზეა და რა მიზნები აქვს?**

— ახლა მესამეზე ვართ და ჩვენი მიზანი ლიდერთა შორის ადგილის შენარჩუნებაა. „იგოკეასთვის" რომ მოგვეგო, მეორეზე გადავიდოდით, მაგრამ ეს ვერ შევძელით. ჩვენი მეტოქე ბელგრადის „პარტიზანის" შვილობილი გუნდია და საკმაოდ შეძლებულიც. „ნექტარის" და „იგოკეას" დაპირისპირებას დიდი ისტორია აქვს და ყოველი მატჩი გამორჩეულად პრინციპულია. ამიტომაც არ მეგონა, თუ მათამაშებდნენ.

**— ეს იყო შენი პირველი მატჩი ბოსნიის ჩემპიონატში და რას იტყვი მის დონეზე?**

— დონე არაა დაბალი, პირიქით, საკმაოდ მაღალია და თუ სლოვენიის ჩემპიონატს ლიუბლიანის „ოლიმპიას" გამოვაკლებთ, მასზე ძლიერი გამოვა. თანაც ბოსნიის ჩემპიონატი ძალიან საინტერესოა. თითქმის ყველა თანაბარი გუნდია და ყოველ ტურში დაძაბული ბრძოლები იმართება. „შიროკი" და „ბოსნა" შედარებით მაღლა დგანან სხვებზე, თუმცა სხვა გუნდებსაც შეუძლიათ მათთან გამარჯვება და მათ შორის „ნექტარსაც".

**— ევროთასზე არ თამაშობთ?**

— არა, „ნექტარი" წლეულს გამოვიდა პირველი ლიგიდან და ევროტურნირის საგზური არ აქვს. ამ სეზონში ჩვენს გუნდს რეალურად შესწევს ძალა, რომ ევროტურნირზე გასასვლელად იბრძოლოს და ვნახოთ, რა გამოვა.

**— ისე, რუსთავის „ენერჯი-ინვესტში" რომ დარჩენილიყავი, ევროთასზე ითამაშებდი...**

— რუსთაველ კლუბში დარჩენის წინააღმდეგი არ ვყოფილვარ. უბრალოდ, თავად გუნდის ხელმძღვანელებმა არ იცოდნენ, ვის აიყვანდნენ და შემადგენლობას როგორ დააკომპლექტებდნენ. მე შემძლო დაცდა, მაგრამ როცა ბოსნიიდან რეალური და სარფიანი წინადადება მივიღე, სათუოდ აღარ გავიხადე საქმე და „ნექტარში" ჩამოვედი. ვფიქრობ, ამით არაფერი წამიგია, პირიქით, წინ გადავდგი ნაბიჯი. ბოსნიაში, ცხადია, საქართველოზე უკეთესი ჩემპიონატი ტარდება და განვითარებისთვის აქ უფრო უკეთესი პირობები მაქვს.

**— რას ფიქრობ, მოახერხებ „ნექტარის" ხუთეულში დამკვიდრებას?**

— ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი ვითამაშე, თანაც ერთთვიანი ტრავმის შემდეგ და ფორმაში არ ვარ. ნელ-ნელა გავუშინაურდები აქაურ ჩემპიონატს, თვითრწმენაც მომემატება და ვფიქრობ, მნიშვნელოვნად მოვუმატებ.

**ირაკლი პერტაია**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ომახიანი ბოს-ტონი

## პირსმა პირი არ მოაღლო, ხელი გამოიღო

13 ნოემბერი

**ინდიანა 86:101 ბოსტონი**

ინდიანა: გრეინჯერი (24), ტინსლი (14)

ბოსტონი: პირსი (31 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), გარნეტი (18 ქულა, 11 მოხსნა), ალენი (17)

**მემფისი 105:99 ჰიუსტონი**

მემფისი: გასოლი (26), მილიჩიჩი (20), მილერი (17), გაი (15)

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (41), მინი (22)

**ფინიქსი 113:102 ნიუ იორკი**

ფინიქსი: სტუდემაიერი (26 ქულა, 12 მოხსნა), მერიონი (23), ბარბოსა (23), ჰილი (21), ნეში (5 ქულა, 12 პასი)

ნიუ იორკი: კროუფორდი (21), ჯონსი (19), რობინსონი (18), კარი (17)

**სან ანტონიო 107:92 ლეიკერსი**

სან ანტონიო: პარკერი (26 ქულა, 9 პასი), ბოუენი (23), ჯინობილი (17)

ლეიკერსი: ბრაიანტი (18), ფარმერი (16)

**ორლანდო 103:76 სიეტლი**

ორლანდო: ლუისი (22), თურქოღლუ (17), ბოგანსი (16)

სიეტლი: კოლისონი (15), გრინი (12)

**შარლოტი 91:76 მაიამი**

შარლოტი: ვოლესი (19), რიჩარდსონი (18), ოკაფორი (13 ქულა, 10 მოხსნა)

მაიამი: ონილი (17)

**დალასი 99:84 ფილადელფია**

დალასი: ტერი (25), ნოვიცკი (21 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი), ჰოვარდი (18)

ფილადელფია: დალემბერტი (18), გრინი (16), იგუდალა (15 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი)

**პორტლენდი 102:94 დეტროიტი**

პორტლენდი: ოლდრიჯი (22 ქულა, 10 მოხსნა), როი (20), ჯეკი 20)

დეტროიტი: პრინსი (20), ბილაფსი (19 ქულა, 9 პასი), ვოლესი (15),

ალბათ დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, სადამდე ეყოფა „ბოსტონ სელტიქსს" საწვავი, მაგრამ დღეს ეს გუნდი ისეთ კალათბურთს თამაშობს, რომ ამერიკელმა ანალიტიკოსებმა თამამად ჩაწერეს საჩემპიონო გუნდების მოკლე სიაში. „ბოსტონს" სამშაბათს კერკეტ მეტოქესთან შეხვედრა მოუხდა, მაგრამ მაინც მოიგო ზედიზედ მეექვსე თამაში. „ინდიანამ" სეზონი სამი გამარჯვებით გახსნა, მაგრამ შემდეგ ასევე მიჯრით სამჯერ წააგო და ახლა ძლიერი გუნდის ძლევით სურდა საკუთარი გულშემატკივრების თვალში რეაბილიტირება. ინდიანელები ძალიან მონდომებულები იყვნენ, ეპიზოდებში კი დაუკრეფავშიც გადადიოდნენ. პირველ მეოთხედში მათ შეძლეს და სამჯერ ჩამოიტოვეს „სელტიქსი" 6 ქულით, ეს კი წლეულს ვერავის მოეხერხებინა. მაგრამ ფავორიტმა მაინც იფავორიტა და ამ სხვაობისგან მალე აღარაფერი დატოვა. მეორე მეოთხედში, 37:37 ანგარიშზე, ინდიანელი ჯამაალ ტინსლი გარღვევაზე წასულ ბოსტონელ პოლ პირსზე უხეშად დაჯარიმდა. პირსი აფეთქდა და მოძალადეს მიუბრუნდა ხურდის დასაბრუნებლად, მაგრამ თავი მოთოკა და ტინსლის და მის მხარდასაჭერად ავად აგუგუნებულ დარბაზს კარგი თამაშით გასცა პასუხი. ბოსტონელმა მეორე მეოთხედის ბოლო 3 წუთში 13 ქულა (!) გააკეთა და თავისი გუნდი დიდ შესვენებაზე 52:43 ანგარიშით გაიყვანა.

ინდიანელებმა მესამე მეოთხედში სცადეს სხვაობის გაბათილება, მაგრამ მათ „ბოსტონის" მეორე ვარსკვლავ რეი ალენთან მოუხდათ გაჯიბრება. ალენს პირველ ტაიმში ქულაც არ გაეკეთებინა, სამაგიეროდ, მესამე 12-წუთეულში ამუშავდა და 15 ქულა მარტო ამ მონაკვეთში გაშალა. უქმად არ მდგარა სამთავიანი გველეშაპის მესამე თავი კევინ გარნეტიც. მან 18 ქულა და 11 პასი მოირეწა და ახალ გუნდში მეექვსე თამაშიც ორმაგი დუბლით დაასრულა. მოკლედ, „ბოსტონმა" მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება ჩაიწერა.

ნაკლებად გაუმართლა „ჰიუსტონ როკიტსს". ტრეისი მაკგრეიდის და იაო მინის გუნდმა „მემფის გრიზლიზთან" წაიბორძიკა, მიუხედავად იმისა, რომ პირველმა 41 ქულა მოიხვეჭა, მეორემ კი — 22. მაკგრეიდი მთელი შეხვედრის მსვლელობისას ბურთს ითხოვდა და აგდებდა კიდეც. მას ბოლოსკენაც შერჩა ძალები და ჯერ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ კი ლამაზი გარღვევის შემდეგ 97:97 გაათანაბრა, მაგრამ დარჩენილი 2-წუთიანი დროის მონაკვეთი მემფისელებმა უკეთ ჩაატარეს, 8:2 მოიგეს და „ჰიუსტონს" რვა თამაშში მეორე მარცხი აჰკიდეს. მოგებულთაგან საუკეთესო იყო ესპანელი პაუ გასოლი. თავი გამოიჩინა სერბმა დარკო მილიჩიჩმაც. ამ უკანასკნელმა თავის ოთხწლიან ნბა-ურ კარიერაში ალბათ საუკეთესო მატჩი ჩაატარა, შეტევაშიც ივარგა და დაცვაშიც. პირველ ტაიმში ის, ძირითადად, ქულების გროვებას ცდილობდა და რაღაც გამოსდიოდა კიდეც, მეორეში კი მწვრთნელმა მარკ ოავარონმა იაო მინს მიამაგრა და სერბმაც გვარიანად აწვალა აზიელი გიგანტი. „იაო ისეთი მოთამაშეა, მისი ბოლომდე გამოთიშვა ალბათ შეუძლებელია, მაგრამ მე ვცდილობდი, მაქსიმალურად შემეზღუდა იგი და ვფიქრობ, ეს კარგად შევძელი" — ამბობდა ნამატჩევს მილიჩიჩი.

„ჰიუსტონის" მწვრთნელმა რიკ ადელმანმა კი კუდა მოიქცა — მგონი იმიტომ წავაგეთ, რომ შეტევაში ძალები ვერ გავანაწილეთ, ამიერიდან ვეცდებით, უფრო დაბალანსებით დავტვირთოთ ხუთივე მოთამაშე. ამით მან ტრეისი მაკგრეიდის მაიმუნა იმ ნაკლზე, რაზეც მთელი ამერიკა საუბრობს, აქაოდა, ბურთს ნუ ათრევ, პასი სხვასაც მიეციო.

**კოტე ყორშია**



ჭერაც დაუმარცხებელ „ბოსტონს" „ინდიანასთან" პოლ პირსმა ულიდერა

**აღმოსავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 6 | 0 | 100 |
| ტორონტო | 4 | 3 | 57,1 |
| ნიუ ჯერსი | 4 | 3 | 57,1 |
| ნიუ იორკი | 2 | 4 | 33,3 |
| ფილადელფია | 2 | 5 | 28,6 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 5 | 2 | 71,4 |
| კლივლენდი | 4 | 4 | 50,0 |
| ინდიანა | 3 | 4 | 42,9 |
| მილუოკი | 2 | 4 | 33,3 |
| ჩიკაგო | 1 | 5 | 16,7 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 6 | 2 | 75,0 |
| შარლოტი | 4 | 3 | 57,1 |
| ატლანტა | 2 | 4 | 33,3 |
| ვაშინგტონი | 1 | 5 | 16,7 |
| მაიამი | 1 | 6 | 14,3 |

**დასავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 7 | 1 | 87,5 |
| ჰიუსტონი | 6 | 2 | 75,0 |
| ნიუ ორლეანი | 6 | 2 | 75,0 |
| დალასი | 5 | 2 | 71,4 |
| მემფისი | 2 | 4 | 33,3 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 6 | 2 | 75,0 |
| დენვერი | 5 | 3 | 62,5 |
| პორტლენდი | 4 | 3 | 57,1 |
| მინესოტა | 0 | 5 | 0 |
| სიეტლი | 0 | 6 | 0 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 6 | 2 | 75,[illegible] |
| კლიპერსი | 4 | 2 | 66,[illegible] |
| ლეიკერსი | 3 | 3 | 50,[illegible] |
| საკრამენტო | 2 | 5 | 28,[illegible] |
| გოლდენ სტეიტი | 0 | 5 | |

## რაგბი



მსოფლიოს თასზე ნაყოჩაღარ საქართველოს ნაკრებში თაობათა ცვლა რომ მიმდინარეობს, არახალი ამბავია. ამ დროს მთელი სიმძიმე იმ მორაგბეებს აწვებათ, ვინც ნაკრებს უკვე გაუშინაურდნენ და ახალბედებს უნდა მიხედონ. ამ დროს კი რამდენიმე მათგანი უკლუბოდაა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, უცხოური ავტორიტეტული სარაგბო გამოცემების მიერ აღიარებული ახალგაზრდა მორაგბე გიორგი შკინინი იძულებით უქმობს და გუნდის ძიებაშია. არადა, მსოფლიოს თასზე „ლელოების" გარემარბმა ირლანდიას ულამაზესი ლელო გაუტანა და მეორე ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა

# შანსის მოლოდინი

## უგუნდო გიორგი შკინინი ისევ უცხოეთისკენ იყურება

— სამწუხარო რეალობაა, მაგრამ რას ვიზამ. კარგ კლუბში მოწყობა თითქმის გარანტირებული მქონდა, მაგრამ ახლა უგუნდოდ ვარ და თბილისში ვიმყოფები — გვითხრა გიორგი შკინინმა, გუშინ რომ შევეხმიანეთ.

**— გასაკვირია, მსოფლიოს თასის ერთ-ერთი გამორჩეული და ირლანდია — საქართველოს მატჩის საუკეთესო მორაგბე უგუნდოდ რომ ხარ...**

— მსოფლიოს თასის მსვლელობისას და მას შემდეგაც რამდენიმე კარგი ვარიანტი მქონდა. საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე ელიტარული ლიგის მოწინავე კლუბები „ლიმოჟი" და „გრენობლი" მეპატიჟებოდნენ. ჩემი მანამდელი გუნდი „ბლუაც" მთავაზობდა კონტრაქტის გაგრძელებას, მაგრამ „ბლუა" რანგით მეოთხე დივიზიონში, ნაციონალ 2-ში თამაშობს, თანაც იქ გატარებულ ერთ სეზონს დაკარგულად ვთვლი და ეს ვარიანტი თავიდანვე უარვყავი. აქედან დაიწყო ჩემი წვალება, რაც ჯერჯერობით კვლავ გრძელდება. ჩემი ფრანგი მენეჯერი „ლიმოჟს" და „გრენობლს" კონტრაქტის პირობებზე ესაუბრებოდა. ყოველდღე მეუბნებოდნენ, ორ-სამ დღეში გადაწყდება საკითხიო, ამასობაში კი მთელმა თვემ გაიარა და ვითარებაც შეიცვალა. „ლიმოჟს" ვარჯიშზე დაუშავდა გამთამაშებელი. ეს ამპლუა რაგბიში უმნიშვნელოვანესია და ჩემს მაგივრად გუნდის განაცხადში ახალი გამთამაშებელი შეიყვანეს. „გრენობლს" კი მენეჯერმა არარეალური პირობები შესთავაზა და ჩემი აყვანა გადაიფიქრეს. სამწუხაროდ, ეს გვიან შევიტყვე და კარგი ვარიანტიც ჩამეშალა.

**— ასეთი რა პირობები შესთავაზა?**

— მერე გავიგე, რომ ჩემში დიდ თანხას ითხოვდა, რომლის დაკონკრეტება არ მსურს. ამასთან ერთად, კლუბს მოსთხოვა, რომ ჩემთვის ბინა და სამი მანქანა გამოეყოთ. არადა, სამი მანქანა არაფერში მჭირდებოდა და მენეჯერის მიერ შეთავაზებული პირობების ნახევარზეც თანახმა ვიყავი, მაგრამ... როგორც გითხარით, ეს ამბავი გვიან გავიგე.

**— ამ მენეჯერთან კვლავ გაქვს ურთიერთობა?**

— უკვე არანაირი... პრინციპში, მასზე ნაწყენი და გაბუტული არ ვარ, რადგან იგი ერთ-ერთ ავტორიტეტულ და სარფიანი ტრანსფერების გამჩარხველად ითვლება და ასე ვთქვათ, იაფ ტრანსფერებს არ აკეთებსს. ახლა უკვე ჩემი მომავალი ჩემს ხელშია და მე თვითონ გადავწყვეტ, ვის რა პირობებით მოვურიგდე.

**— ყოფილ გუნდთან, „ბლუასთან" მოლაპარაკება მერე აღარ გიცდია?**

— არა, რადგან ჩემი მხრიდან მორალურად მართალი არ ვიქნებოდი. იქ სათამაშო პრაქტიკა მუდამ მქონდა, მაგრამ დაბალი დონე იყო, ხელფასი 700 ევრო მქონდა და ყველაფერზე მე უნდა მეზრუნა. როდესაც სხვა გუნდებმა აღარ ამიყვანეს, მერე „ბლუაში" დაბრუნება ჩემი მხრიდან გაუმართლებელი და პირობებითაც წამგებიანი იქნებოდა.

**— ახლა რას აპირებ, თებერვალში სანაკრებო მატჩები გელის და იქამდე უთამაშებელი ფორმას თუ შეინარჩუნებ?**

— არის რაღაც ვარიანტები, ოღონდ ახლა ვერ დაგიკონკრეტებთ. ახალ წლამდე უნდა მოვასწრო კონტრაქტის გაფორმება და რაც მთავარია, უცხოურ კლუბთან. მაინცდამაინც ფრანგულ კლუბებზე არ არის ლაპარაკი, თუმცა, ცხადია, უკრაინის და ჩეხეთის ვარიანტებს არ დავთანხმდები. იქ საქართველოს ჩემპიონატზე დაბალი დონეა. შეიძლება, რუმინეთშიც ვითამაშო, სადაც საკლუბო რაგბი განვითარებულია და იქიდან კარგ ფრანგულ კლუბში მოწყობა გაცილებით იოლია.

**— ახლა ინდივიდუალურად ვარჯიშობ?**

— მქონდა შემოთავაზება, რომ საქართველოს ჩემპიონატის დასრულებამდე რომელიმე კლუბს დავმატებოდი, მაგრამ შეიძლება, ხვალაც კი გამოჩნდეს უცხოური კლუბის ვარიანტი და ამიტომ ვიუარე. ჯერჯერობით ინდივიდუალურად ვვარჯიშობ და ჩემს შანსს ველოდები.

**ბაჩო სვანიძე**

## მაგიდის ჩოგბურთი

# პატარა ჩოგნის პატარა ოსტატები

**დღეს** ბოჭორმის 14-ში მდებარე სპორტული ცენტრის დარბაზში მოზარდ და ჭაბუკ მაგიდის ჩოგბურთელთა საქართველოს პირველობა იწყება. ტურნირი ოთხ დღეს გასტანს და კვირას სამი ასაკობრივი ჯგუფის ფინალებით დაგვირგვინდება. ყველაზე პატარები 12-წლამდელები იქნებიან, მეორე ჯგუფი 15-წლამდელებისაა, ხოლო მესამე — 17-წლამდელები არიან.

საქართველოს პირველობას სპონსორობას „ავსტრიის ავიახაზები" და პოლონეთის საელჩო გაუწევენ. პატარა ჩოგნებს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, ბორჯომის, თელავის, აბაშისა და ზესტაფონის ახალგაზრდა სპორტსმენები ჩამოიყვანენ.

„ტურნირი, პირველ რიგში, ხელს შეუწყობს მაგიდის ჩოგბურთის პოპულარიზაციასა და განვითარებას საქართველოში. მჯერა, ეს მივიწყებული სპორტის სახეობა მალე მოიკრებს ძალას. ავსტრიის ავიახაზებისა და პოლონეთის ელჩის იაცეკ მულტანოვსკისადმი მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. იმედია, მათგან მაგალითს სხვა კერძო პირები და ორგანიზაციებიც აიღებენ" — განაცხადა მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **თემურ რამაზაშვილმა**.

**ოთარ მხეიძე**

## მშვილდოსნობა

# ისრები დიდუბეში

## ეროვნულზე საქართველოს თასის მფლობელები გაირკვევიან

**16-18 ნოემბერს** თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, მშვილდოსანთა შორის საქართველოს თასის გათამაშების მესამე და ფინალური ეტაპი გაიმართება. ტურნირში მონაწილეობას 30-მდე სპორტსმენი მიიღებს. პირველ დღეს წინასწარი შეჯიბრი ჩატარდება, მეორე დღეს მამაკაცები და ქალები ძირითად ტურნირში ჩაერთვებიან. სწორედ ეს სროლები გამოავლენს ფინალისტებს, რომლებიც მესამე დღეს თასისთვის იბრძოლებენ.

„საქართველოს თასის გათამაშება სულ სამი ეტაპისგან შედგება — გვითხრა მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **თენგიზ ტერუნაშვილმა** — პირველი ეტაპი გაზაფხულზე თბილისში, მძლეოსანთა მანეჟში ჩატარდა, მეორე — ზაფხულის დასაწყისში, შუახევში. დასკვნით ეტაპს ქვეყნის ცენტრალური არენა უმასპინძლებს და სწორედ იქ შეჯამდება მთელი წლის შედეგები". თასისთვის ყველა უძლიერესი ქართველი მშვილდოსანი იბრძვის. მათ შორის, ხათუნა ნარიმანიძე და ქრისტინე ესებუა, რომლებმაც უკვე პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გაინაღდეს. ცნობისთვის, ესებუას და ნარიმანიძეს საქართველოს თასის მოგების ყველაზე რეალური შანსები აქვთ.

**ოთარ ბალლაძელიძე**

**საერთო ჩათვლის მდგომარეობა ორი ეტაპის შემდეგ**

| | | |
|---|---|---|
| **ქალები** | | |
| 1 | ქრისტინე ესებუა | 60 |
| 2 | ხათუნა ნარიმანიძე | 58 |
| 3 | ასმათ დიასამიძე | 57 |
| 3 | ოლღა ლადიგინა | 57 |
| **კაცები** | | |
| 1 | ტარიელ ქადაგიძე | 59 |
| 2 | ლადო ბოლქვაძე | 57 |
| 3 | გიორგი ტერუნაშვილი | 52 |
| 3 | დიმიტრი კირიჩენკო | 52 |

## ჭადრაკი

## მიხაილ ტალის მემორიალი
## მოსკოვი. რუსეთი. 9-23 ნოემბერი

**IV ტური**

პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5 ევგენი ალექსეევი (რუსეთი)
ბორის გელფანდი (ისრაელი) 0,5:0,5 დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი)
მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) 0,5:0,5 შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)
ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 0,5:0,5 ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)
გატა კამსკი (აშშ) 0,5:0,5 ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი)

# სრული შტილი

**ფიდეს** რეიტინგის მეორე ნომერი ვასილ ივანჩუკი სპეციალისტთა იმედებს ჯერჯერობით ვერ ამართლებს. უკრაინელი მოჭადრაკე, რომელიც ტურნირის ფავორიტად იყო მიჩნეული, ცხრილის ბოლოშია 1,5 ქულით.

მეხუთე ტურის ხუთივე შეხვედრა ყაიმით დასრულდა და ყველა თავის ადგილზე დარჩა. ყველაზე სწრაფად ლიდერები, 16 წლის მაგნუს კარლსენი და შაჰრიარ მამედიაროვი დაზავდნენ.

ნორვეგიელმა ხელმწიფის გამბიტით დაიწყო პარტია, ცენტრში სამი პაიკი დიაგონალზე განალაგა და კუთი იერიშზე წავიდა. მამედიაროვმა მტერი უკუაქცია, საპასუხოდ მძიმე ფიგურებით დაარტყა და 22-ე სვლაზე ზავიც ჩამოვარდა.

ევგენი ალექსეევთან მოგებას გემავდა პეტერ ლეკო და მეტოქეს თავიდანვე აგრესიულად შეუტია. რუსმა უნგრელის ჩანაფიქრი ადვილად გამოიცნო, მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა დაახვედრა და 30-ე სვლაზე ყაიმს გამორჩა.

**ლუბა გეგეჭკორი**

**სატურნირო ვითარება**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვლადიმირ კრამნიკი | 2,5 |
| 2. | მაგნუს კარლსენი | 2,5 |
| 3. | შაჰრიარ მამედიაროვი | 2,5 |
| 4. | ევგენი ალექსეევი | 2 |
| 5. | ბორის გელფანდი | 2 |
| 6. | პეტერ ლეკო | 2 |
| 7. | ალექსეი შიროვი | 2 |
| 8. | გატა კამსკი | 1,5 |
| 9. | დმიტრი იაკოვენკო | 1,5 |
| 10. | ვასილ ივანჩუკი | 1,5 |



მაგნუს კარლსენი

# ტოპალოვი თავში, კარპოვი ბოლოში



ვესელინ ტოპალოვი

**ფიდეს** ეგიდით მიმდინარე ტურნირზე, რომელსაც ჩემპიონთა ლიგა ჰქვია და ესპანური ვიტორია-გასტეისი მასპინძლობს, მეცხრე ტურის მატჩები ჩატარდა.

ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა თეთრი ფიგურებით უკრაინელი რუსლან პონომარიოვი დაამარცხა და პირველი ადგილიც ჩამოართვა. მეტოქეებმა ინდური პარტია გაითამაშეს, ერთმანეთი საკმაოდ აწვალეს და თამაში 58-ე სვლაზე დაასრულეს. ახლა ტოპალოვს 6 ქულა აქვს, პონომარიოვს კი — 5,5.

მესამეზე საუკეთესო დიდოსტატი ქალი უნგრელი იუდიტ პოლგარია. მადიარმა ქალბატონმა შავებით რუმინელ ევროპის ჩემპიონ ლივიუ დიტერ ნისიპიანუს გაუყო ქულა და მეტოქე 4,5 ქულით მეოთხეზე დატოვა.

მეხუთე ადგილზე ახტა უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვი. ფიდეს 2004 წლის ჩემპიონმა რუს ანატოლი კარპოვს მოუგო და ერთ დროს მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე 2,5 ქულით ბოლო ადგილზე მარტოდმარტო დატოვა.

**ლუბა გეგეჭკორი**

# საპეკინო ქუდში თვრამეტი თავია

## ერთი ამდენი ლიცენზია კიდევ გვჭირდება



**პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოსაპოვებლად წლევანდელი, პრაქტიკულად დასრულებული სეზონი უმნიშვნელოვანესი იყო, თუმცა სპორტსმენთა ნაწილი ჩინეთის დედაქალაქში გასამგზავრებლად გაისადაც იბრძოლებს. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილს ვესაუბრეთ**

— ვიდრე საქართველოს სპორტსმენთა მიერ ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ვისაუბრებდეთ, იქნებ ჯერ სომხეთის საკურორტო ქალაქ წახკაძორში გამართული დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მეთაურთა თათბირ-სემინარზე გვიამბოთ, რომელიც ასევე საგაისო ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების საკითხებს მიეძღვნა.

— ამგვარი თათბირ-სემინარების გამართვას მრავალი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი და ტრადიციულია. ოღონდ ეს ყრილობა ორი წელიწადია, რაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობის ეგიდით ტარდება.

ამ თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის სამი წარმომადგენელი, მათ შორის ევროპის რეგიონალური კოორდინატორი, ქალბატონი გოუ როუროუ. იგი თათბირ-სემინარის მონაწილეთა წინაშე მოხსენებით გამოვიდა. სამივე ჩინელმა სტუმარმა უამრავ კითხვას გასცა პასუხი და, რაღა თქმა უნდა, დაინტერესდნენ თათბირ-სემინარის მონაწილეთა ქვეყნებში საპეკინო სამზადისით, სავარაუდო მონაწილეთა რაოდენობით, ჩინეთის დედაქლაქში გამგზავრებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხებით. ყველამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პეკინის ოლიმპიური მედლებისთვის ბრძოლა განსაკუთრებით რთული იქნება...

**— განა სხვა დროს იოლი იყო?**

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ უფრო გაზრდილი კონკურენციის და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, პეკინში მეტად რთული იქნება ბრძოლა. განსაკუთრებით ხაზგასმით ითქვა, რომ პეკინში გამკაცრდება დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა.

სხვათა შორის, პეკინში გამგზავრებამდე ვაპირებთ, რომ ყველა ჩვენი ოლიმპიელი დოპინგის ტესტზე გამოვცადოთ.

**— მაგრამ ეს ხომ საქართველოში შეუძლებელია, რადგან არც შესაბამისი ლაბორატორია გვაქვს და არც სათანადო ცოდნა-გამოცდილების სპეციალისტები გვყავს...**

— ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ტესტები სტამბოლში ან კიოლნში ჩავატაროთ, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შესაბამისი ლიცენზიების მქონე ლაბორატორიებია.

საინტერესოა, რომ ამ საქმეში საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ ჩვენს ბელარუს და უკრაინელ კოლეგებს, რომლებიც შესაბამისი ლაბორატორიების შეძენას აპირებენ, რაც საკმაოდ ძვირადღირებულია. ამასვე აპირებენ აზერბაიჯანელებიც და კადრების მომზადებაზეც ფიქრობენ. ისიც საინტერესოა, რომ აზერბაიჯანის პარლამენტმა საგაისო ბიუჯეტის განხილვისას ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად 3,4 მილიონი ამერიკული დოლარი გამოყო.

რაკი ჩვენს მეზობელ ქვეყნებზე ვსაუბრობთ, ისიც საინტერესოა, რომ სომხები საპეკინოდ ძალზე სერიოზულად ემზადებიან. გეხსომებათ, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე უმედლოდ დარჩნენ და მსგავსი ისტორია რომ აღარ განმეორდეს, რუსეთიდან და კიდევ რამდენიმე ქვეყნიდან სპორტსმენები გადაიბირეს. ამას გარდა, სომხეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, თავისი ქვეყნის პარლამენტის ერთ-ერთი ფრაქციის ხელმძღვანელმა გაგიკ ცარუკიანმა, რომელიც ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედია, პეკინში გამარჯვებული თანამემამულე სპორტსმენისთვის ჯილდოდ პირადად დააწესა 700 ათასი ამერიკული დოლარი. თუ ამას დავუმატებთ სახელმწიფოს მიერ დაწესებულ პრემიას და სხვა ქველმოქმედთა გულუხვობას, პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებული სომეხი სპორტსმენი მილიონ დოლარამდე ჯილდოს მიიღებს.

**— როგორ ფიქრობთ, რას მოუტანს ეს წახალისება სომეხ სპორტსმენებს?**

— მათ ჯერჯერობით 16 ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვეს.

**— საინტერესოა, დღეს რა მდგომარეობაა მაღალმთიან წახკაძორის სპორტულ კომპლექსში, რომელიც მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის საბჭოთა სპორტსმენების უკეთ მოსამზადებლად აიგო?**

— სომეხი სპორტსმენები იქ კვლავაც ემზადებიან, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩვენს მეზობლებს როგორც სავარჯიშო, ისე ალდგენითი საშუალებების მხრივ ამ ბაზის ევროპის წამყვან ცენტრად გადაქცევა განუზრახავთ.

**— ჩვენი მეზობლების სიახლეებზე საუბარი მართლაც საინტერესოა, მაგრამ ახლა საკუთარსაც მივხედოთ. საპეკინოდ რამდენმა ჩვენმა სპორტსმენმა დაიგულა თავი ქუდში?**

— თვრამეტმა.

**— კარგია ეს თუ ცუდი?**

— დაახლოებით ასეთივე მაჩვენებელი გვქონდა ათენისა და სიდნეის ოლიმპიური თამაშების შესაბამის პერიოდში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს სპორტსმენებს იმ დროისგან განსხვავებით ახლა წარმოუდგენლად უკეთეს პირობებში უხდებოდათ სამზადისი, გაცილებით მეტ ლიცენზიას ველოდით, მაგალითად ჭიდაობებში ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენმა ფალავნებმა ორ-ორი ოქროსა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რაც მართლაც რომ ბრწყინვალე შედეგია. იქვე მათ ხუთი ლიცენზია დაიმსახურეს, მაგრამ მეტს ველოდით.

**— მაგრამ სალიცენზიო პერიოდი ხომ გაისადაც გრძელდება?**

— რა თქმა უნდა და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მოჭიდავეები, ისევე როგორც ძიუდოისტები, პეკინში სრული გუნდებით გამოვლენ. ამ მხრივ მიზანთან ძალზე ახლოს არიან ძიუდოისტები, რომლებსაც ხუთი ლიცენზია აქვთ. პრაქტიკულად ლიცენზია გარანტირებული აქვს ზაზა კედელაშვილსაც. ასე რომ, ულიცენზიოდ ამ ეტაპზე ერთი წონითი კატეგორიაღა რჩება.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ულიცენზიოდ ვართ კრივში, სადაც ორ-სამ საპეკინო საგზურს მაინც ველოდით. იმედია, მოკრივეები გაისად მიზანს მიაღწევენ, თუმც საამისოდ მათ სალიცენზიო ტურნირების ფინალში უნდა იბრძოლონ, ზოგ წონით კატეგორიაში კი მესამე ადგილის მოპოვებაც საკმარისი იქნება.

ჩვენს სპორტსმენებს ლიცენზიები უკვე გარანტირებული აქვთ ვაჟთა პლაჟის ფრენბურთში და ალბათ ამასვე შეძლებენ ქალებიც.

ორი ლიცენზია აქვთ ჩვენს მშვილდოსნებს. მიზანს ალბათ ასმათ დიასამიძეც მიაღწევს და პეკინში აქაც სრული გუნდით გამოვალთ. ყოველ შემთხვევაში, არსებობს სპეციალური წესი, როცა ეოკ-ის თხოვნით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სამმხრივ კომისიაზე ამა თუ იმ სპორტსმენის ოლიმპიადაზე სპეციალური მიწვევით დაშვებას განიხილავს. ჩვენმა ეოკ-მა ჩვენივე ფედერაციების თხოვნის საფუძველზე გადაწყვიტა, რომ მსგავსი გზით ოლიმპიადაზე ოთხი სპორტსმენი მოხვდეს. ესენი არიან ასმათ დიასამიძე, თანამედროვე ხუთჭიდელი ვიაჩესლავ მალიშევი, ნიჩბოსანი ოლეგ ოლეინიკი და მხატვრულად ტანმოვარჯიშე მზევინარ სამუკაშვილი. ეს ის სპორტსმენები არიან, რომლებსაც ლიცენზიის მოსაპოვებლად სულ ცოტა დააკლდათ. ვფიქრობ, სოკ-ის სამმხრივი კომისია ჩვენს თხოვნას ოთხივეზე თუ არა, ორზე მაინც დააკმაყოფილებს.

**— საუბარია ეგრეთწოდებულ „ველურ ბარათზე“?**

— არა, სამმხრივი კომისია სულ სხვაა, რომელიც ამა თუ იმ საერთაშორისო ფედერაციის, სოკ-ის ათლეტთა კომისიასა და თავად სოკ-ის წარმომადგენლებს აერთიანებს. რაც შეეხება „ველურ ბარათებს“, ამის წყალობით შესაძლოა პეკინში მოხვდნენ ჩვენი საწყალოსნო სახეობათა და მძლეოსანთა წარმომადგენლები, რომლებიც, იმედია, ამის იმედად არ დარჩებიან და თავად ეცდებიან მიზნის მიღწევას.

ამას გარდა, საქართველოს ფარიკაობის მესვეურნი გვარწმუნებენ, რომ თუ ხელშეწყობა იქნება, პეკინში ამ სახეობაშიც გვეყოლება წარმომადგენელი. მათ ძალზე ეიმედებათ ახალგაზრდა გია მომცემლიძისა, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს და სწავლობს, მაგრამ ქართული პასპორტი აქვს და პერსპექტიულ მოფარიკავედ მიიჩნევენ.

პეკინის ოლიმპიურ სარბიელზე კვლავ ვიხილავთ ჩვენს სპორტულ ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძეს, რომელიც ამ სახეობაში ჩვენი უკანასკნელი მოჰიკანია. მისთვის ეს მეოთხე ოლიმპიადა იქნება, მერე კი, რაკი ეს სახეობა ჩვენთან ფაქტობრივად ჩამკვდარია, ან უკეთეს შემთხვევაში სულს ღაფავს, ოლიმპიელი ტანმოვარჯიშე, სამწუხაროდ, სანატრელი გაგვიხდება.

აქვე უთუოდ უნდა ვახსენოთ სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი სროლაში ნინო სალუქვაძე, რომლისთვისაც პეკინი მეექვსე ოლიმპიადა იქნება და იგი ამ მხრივ ჩვენი რეკორდსმენია.

შეგახსენებთ, რომ ნინო პირველი ჩვენი სპორტსმენია, რომელმაც პეკინის ლიცენზია მოიპოვა. მან ეს ჯერ კიდევ შარშანწინ შეძლო. სულ ბოლოს ლიცენზია დაიმსახურა ბატუტზე ხტომაში ჩვენმა მომავალმა დიდმა იმედმა, ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ლუბა გოლოვინამ. მან ეს ამ დღეებში კანადაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე შეძლო და მისგან პეკინში ალბათ არა, მაგრამ ლონდონის თამაშებზე მედალს უნდა ველოდოთ.

მე ვაკვირდებოდი გოლოვინას კანადურ გამოსვლას და იქ ბევრ სპეციალისტსაც ვესაუბრე, რომლებიც ასევე აღიარებენ მის მზარდ ოსტატობას და პერსპექტივებს.

საინტერესოა, რომ ლუბა გოლოვინა ჩვენს დღევანდელ ლიცენზიანტ სპორტსმენთა შორის ყველაზე ახალგაზრდა, 17 წლისაა.

სამწუხაროდ, ამ სახეობაში ულიცენზიოდ დაგვრჩა თენგიზ კოშკაძე, რომელსაც ეტყობა მიზნის მიღწევაში გამოუცდელობამ და ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა შეუშალა ხელი.

**— როგორ ფიქრობთ, საპეკინოდ მაინც რამდენი ლიცენზიანტი სპორტსმენი გვეყოლება?**

— ალბათ იმდენივე, 35-40 კაცი, როგორც ეს ატლანტის, სიდნეისა და ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გვყავდა.

**— საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში განვითარებულმა მოვლენებმა ხელი ხომ არ შეუშალა ჩვენი სპორტსმენების მზადების ფინანსურ მდგომარეობას?**

— არავითარ შემთხვევაში, რადგან დაფინანსების სამი წყარო იყო: სახელმწიფოსგან, ოლიმპიური კომიტეტისგან და თავად ფედერაციებიდან. ამასთან, ამ ეტაპზე ყველა ჩვენი ვალდებულება, რაც სალიცენზიოდ მზადებასა და შეჯიბრებებში გამოსვლას ისახავდა მიზნად, გასტუმრებული გვქონდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ოქტომბრიდან შეჩერებულია სპორტსმენთა და მწვრთნელთა სტიპენდიების გაცემა, ვეტერან ოლიმპიელთა და ჟურნალისტთა პენსიების გაცემა, შეჩერებულია კიდევ რამდენიმე პროექტი. რაკი ფინანსური გარანტიები აღარ გვაქვს, ამ ეტაპზე შეჩერებულია მოლაპარაკებები უცხოურ კომპანიებთან, სპონსორებთან, მომწოდებლებთან, გადამყვანებთან, არადა, დრო აღარ ითმენს...

ის, რაც ოქტომბერ-ნოემბერში ჩვენთან — ეოკ-ში და საქართველოში მოხდა, ქვეცნობიერად, ალბათ სპორტსმენებზეც იმოქმედებს. ყოველ შემთხვევაში, ხელს არ შეუწყობს საერთო საქმეს. ამიტომ საჭიროა, დროზე გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან და ხვალინდელ დღეზე მშვიდად ვიფიქროთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

მასტერსის თასი. შანხაი. ჩინეთი. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 4 450 000 $

# ოთხში პირველი ენდი როდიკია

**წითელი ჯგუფი**

ენდი როდიკი (5, აშშ) — ფერნანდო გონსალესი (7, ჩილე) 6:1 6:4
როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) 6:4 6:3

| | თ | მ | წ | სტ |
|---|---|---|---|---|
| ენდი როდიკი | 2 | 2 | 0 | 4:1 |
| როჯერ ფედერერი | 2 | 1 | 1 | 3:2 |
| ფერნანდო გონსალესი | 2 | 1 | 1 | 2:3 |
| ნიკოლაი დავიდენკო | 2 | 0 | 2 | 1:4 |


ენდი როდიკი

ენდი როდიკი წლევანდელი მასტერსის თასის პირველი ნახევარფინალისტია. ამერიკელმა ეს პატივი გუშინ გაინაღდა, როცა ფერნანდო გონსალესი ძალიან დამაჯერებლად მიჩოგნა — იანკისთვის ეს შანხაიში მოპოვებული მეორე გამარჯვება იყო. ენდი-ბოისთვის ახლა ჯგუფის ბოლო, როჯერ ფედერერთან შეხვედრას არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ აქვს.

ჩანს, გონსალესი პირველ ტურში ფედერერის დამარცხებას დიდხანს აღნიშნავდა და როდიკთან მატჩისთვის მომზადება ვერ მოასწრო — სხვა მხრივ ძნელია, აიხსნას ჩილელის მიერ დაშვებული აურაცხელი რაოდენობის შეცდომა. სამხრეთამერიკელმა საერთოდ ვერ გამოიყენა თავისი მომაკვდინებელი ფორჰენდი, რომლითაც ორი დღის წინ ფედერერს სიქა გააცალა და ფარხმალი დააყრევინა. რიგ მომენტებში შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ გონსალესი უბრალოდ, ვერ ზომავდა ხოლმე სიძლიერეს, რადგანაც მისი რამდენიმე დარტყმული კორტს ორი-სამი მეტრით ასცდა.

ამის საპირისპიროდ, როდიკმა წლეულს ალბათ თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ენდი-ბოი მოულოდნელად სოლიდური იყო მიღებაზე თამაშისას, რაც მას არცთუ ხშირად ემართება, მოწოდება კი იანკის არასოდეს უჭირდა და გუშინაც მშვენივრად გამოიყენა თავისი სახელგანთქმული ყუმბარმტყორცნი — მართალია, ეისებით განსაკუთრებულად ვერ გამოირჩა (მხოლოდ 3), მაგრამ იმდენად ზუსტად და ძლიერად აწოდებდა, რომ ჩილელს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია. ჰოდა, ამის შემდეგ ვიღას უნდა გაუკვირდეს როდიკის იოლი გამარჯვება.

დღის პირველ შეხვედრაში ფედერერმა ნიკოლაი დავიდენკო კარიერაში უკვე მეთერთმეტედ გაკრა ბეჭებზე და ნახევარფინალის გასვლის მშვენიერი შანსი შეინარჩუნა. ალპელმა აღარ გაიმეორა გონსალესთან დაშვებული შეცდომები, რუსთან შეხვედრა თავიდან ბოლომდე კონცენტრირებულმა ჩაატარა და ლაზათიანი თამაშით მაყურებელიც ასიამოვნა.

„თავიდან თითქოს თამაში არ წამივიდა, განსაკუთრებით ბექჰენდზე, მაგრამ ფერნანდოსთან შეხვედრისგან განსხვავებით, დღეს ნაკლები შეცდომები დავუშვი. ჩემი თამაში ახლა შორსაა იდეალურისგან, მაგრამ სეზონის ბოლოსთვის ამაზე კარგ ფორმაში ყოფნა ძნელია“ — არცთუ კმაყოფილი იყო ნამტჩევს ფედერერი.

„მხიარული როჯერისთვის“ ყველაზე მთავარი ისაა, რომ მან რუსს ორ სეტში მოუგო და ახლა უმოტივაციო როდიკიც ასე თუ დაამარცხა, მაშინ ნახევარფინალში აუცილებლად გავა.

დაბოლოს ერთიც ვთქვათ — გუშინ ფედერერს წლის საჩემპიონო რბოლის მოგებისთვის სპეციალური პრიზი გადასცეს. ფედერერმა ზედიზედ მეოთხედ დაამთავრა წელიწადი რეიტინგის სათავეში:

„ეს მართლაც დიდი პატივია. რეიტინგის სათავეში გატარებული თითოეული კვირა და თვე ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, ხოლო ის, რომ უკვე მეოთხედ შევძელი ამ რბოლის მოგება, მართლაც ფანტასტიურია. იმედი მაქვს, 2008 წელსაც იგივეს გავიმეორებ“.

**კახა ლომჯარიძე**

# ქვაცაბაია და ორგვარიანი ესპანელები
## ტატიშვილი წინ, ჩახნაშვილი უკან

**სეზონის** მეორე ნახევარში წარუმატებლად მოთამაშე მაკა ჩახნაშვილი ვერც წლის ბოლოსკენ ჩაუქობს. საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი ამ კვირაში ფრანგული დეუვილის თიხაზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიან ტურნირში თამაშობდა და პირველივე წრეში 2:6 6:3 2:6 დამარცხდა მე-3 ნომრად განთესილ უზბეკ აიკგულ ამანმურადოვასთან, ვისაც WTA-ს რეიტინგში 93-ე პოზიცია უკავია.

ესპანეთში, კერძოდ, ბალეარის კუნძულების ქალაქ მალიორკას თიხაზე კი 10-ათასიანი შეჯიბრია და სოფო ქვაცაბაიამ საკვალიფიკაციო ბარიერის წარმატებით დაძლევის შემდეგ ძირითადი ბადის პირველ წრეშიც ივარგა — ტურნირზე ორგანიზატორთა მიწვევით, ანუ „უაილდ ქარდით“ მოხვედრილ 17 წლის ორგვარიან ესპანელ მარტა ესპიგადო-დელგადოს, ვისაც კლასიფიკაციაში 1027-ე ადგილი უკავია, 6:1 6:1 გადაუარა.

სოფოს მეორე მეტოქე კიდევ ერთი ორგვარიანი მასპინძელი, მე-2 ნომრად განთესილი 21 წლისა და რეიტინგში 444-ე ადგილზე მყოფი ევა ფერნანდეს-ბრუგუესი იქნება, რომელმაც პირველ წრეში თავის თანამემამულეს, ასევე ორგვარიან ლეტიცია კოსტას-მორეირას 6:0 6:3 სძლია.

აქვე შეგახსენებთ, რომ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქვაცაბაიას სამი მეტოქიდან ორი ესპანელი იყო და ნუ გაგიკვირდებათ — ორივე ორგვარიანი გახლდათ — ლარა არუაბარენა-ვეხინო და ფარა აბოგერ-სელო.

ამ კვირის ტურნირებზე მოთამაშე კიდევ ერთმა ჩვენებურმა ანა ტატიშვილმა კალიფორნიული ლა ქუინტას ჰარდზე მიმდინარე 50-ათასიან შეჯიბრში თავისი პირველი შეხვედრა ამერიკელ ალექსა გლეტჩთან ჩაატარა და კლასიფიკაციის 269-ე ნომერი ადვილად — 6:1 6:3 დაჯაბნა.

მეორე წრეში ანას მეტოქე ან მესამე ნომრად განთესილი გამოცდილი ამერიკელი ეშლი ჰარკლროუდი იქნება, ანაც ძირითად ბადეში კვალიფიკაციის „იღბლიანი წაგებულის“ სტატუსით მოხვედრილი ფინელი პიია სუმალაინენი.



ჩემპიონთა ლიგა. კაცები
ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური

**A ჯგუფი**

ბანიკ კარვინა (ჩეხეთი) 26:27 ივრი (საფრანგეთი)
ზარია ასტრახანი (რუსეთი) 30:31 ბარსელონა (ესპანეთი)
ბარსელონა 8 ქულა, ზარია 4, ივრი 4, ბანიკი 0

**B ჯგუფი**

მონპელიე (საფრანგეთი) 34:23 კონსტანცა (რუმინეთი)
ჰამარბი (შვედეთი) 36:40 კილი (გერმანია)
კილი 8, მონპელიე 6, ჰამარბი 2, კონსტანცა 0

**C ჯგუფი**

ადემარ ლეონი (ესპანეთი) 31:30 შაფჰაუზენი (შვეიცარია)
ვარდარ სკოპიე (მაკედონია) 26:34 ზაგრები (ხორვატია)
ადემარ ლეონი 7, შაფჰაუზენი 3, ზაგრები 3, ვარდარი 3

**D ჯგუფი**

პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) 34:26 A1 ბრეგენცი (ავსტრია)
ტატრანი (სლოვაკეთი) 31:38 გოგ გუდმე (დანია)
პორტლენდი 7, გუდმე 5, ბრეგენცი 2, ტატრანი 2

**E ჯგუფი**

ჰამბურგი (გერმანია) 32:32 ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი)
ZTR ზაპოროჟიე (უკრაინა) 35:23 ვიბორგი (დანია)
ჰამბურგი 7, მედვედი 5, ზაპოროჟიე 2, ვიბორგი 2

**F ჯგუფი**

ვალური (ისლანდია) 29:28 პივოვარნა ლაშკო (სლოვენია)
ვესპრემი (უნგრეთი) 35:35 გუმერსბახი (გერმანია)
გუმერსბახი 7, ვესპრემი 4, პივოვარნა 3, ვალური 2

**G ჯგუფი**

ფლენსბურგი (გერმანია) 30:28 დრამენი (ნორვეგია)
ზაგლებიე (პოლონეთი) 20:37 სიუდად რეალი (ესპანეთი)
სიუდად რეალი 8, ფლენსბურგი 4, დრამენი 2, ზაგლებიე 2

**H ჯგუფი**

სარაევო (ბოსნია) 24:37 პიკ სეგედი (უნგრეთი)
გორენიე (სლოვენია) 37:28 მეშკოვ ბრესტი (ბელარუსი)
პიკ სეგედი 8, გორენიე 6, სარაევო 2, ბრესტი 0

# ახალი კაცი ლუდის ქვაბთან

**თითქმის** ერთთვიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონთა ლიგის მეორე წრე დაიწყო და ჯგუფური ტურნირის გასრულებამდე ორი ტურით ადრე უკვე გაირკვა გათამაშების მეორე ეტაპზე გასული რვა გუნდის ვინაობა. ბუნებრივია, ესენი არიან ევროპის ყველაზე მაღალრეიტინგიანი ქვეყნების — გერმანიისა და ესპანეთის „კლუბები, აგრეთვე უნგრეთის „პიკ სეგედი“, რომელთაც ჯერ თითო თამაშიც არ წაუგიათ.

ხანგრძლივი ანტრაქტის შემდგომი ტური სიმძაფრით გამოირჩა — ორი მატჩი ფრედ დასრულდა, ხოლო ოთხში გამარჯვებული მხოლოდ ერთგოლიანმა სხვაობამ გამოავლინა.

მოულოდნელად, ლიგის სამი წლის წინანდელი ტრიუმფატორი, სლოვენიური „ცელიე პივოვარნა ლაშკო“ აქამდე უქულო ისლანდიის ჩემპიონ „ვალურთან“ შერცხვა და ძალიანაც გაირთულა მერვედფინალში გასვლის გზა. რეიკიავიკში ამ მარცხის შემდეგ მელუდეთა კლუბის უფროსობამ მთავარი მწვრთნელი კასიმ კამენიცა მოხსნა და მის ნაცვლად სლავკო ივეზიჩი დანიშნა, რომელიც მანამდე ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა.

სენსაციურ ფრეს მიაღწია „ჩეხოვსკიე მედვედიმ“ ერთ-ერთ ფავორიტ „ჰამბურგთან“ მისსავე მოედანზე. ორივე ტაიმი ერთნაირი შედეგით — 16:16 დასრულდა. რუსებს იმან უშველა, რომ ექვსიდან ხუთი პენალტი გაიტანეს, მასპინძლებმა კი ოთხიდან სამი ააცილეს.

ბომბარდირთა შორის 32-32 გოლით დაწინაურდნენ ლიგის ამჟამინდელი ჩემპიონის, გერმანიის „კილის“ ხაზის მოთამაშე, გოლიათი (200 სმ, 106 კგ) შვედი მარკუს ალიმი, რომელმაც თავის შინაურ „ჰამარბის“ 13-ჯერ გაუტანა და დანიელი მარჯვენა ფრთა ლასე სვენ ჰანსენი („გოგ სვენდბორგ გუდმე“).

**გია ახალაძე**



ავტორბოლა

# ძველი შუმის ახალი ბუმი

**ჯერ** კიდევ ოფიციალურად არ დამტკიცებულა თითქმის ერთი თვის წინ დასრულებული საპირველფორმულო სკანდალური ჩემპიონატის შედეგები, გუნდებმა კი უკვე მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყეს.

ბარსელონაში, „კატალუნია მონტმელოს" ავტოდრომზე პირველი სამდღიანი ტესტია გახურებული. ხასტარტო სერიაში საუკეთესო დრო აჩვენა... 38 წლის პენსიონერმა მიხაელ შუმახერმა — 1 წუთი და 21,9 წამი. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ერთწლიანი უქმობის შემდეგ კვლავ მიუჯდა „ფერარის" საჭეს და 4,6-კილომეტრიან ტრეკს 64-ჯერ შემოუქროლა. შუმიმ წამის ორი მეათედით აჯობა სკუდერიის სათადარიგო მძღოლ ლუკა ბადოერს, რვა მეათედით — მაკლარენელ პედრო დე ლა როსას, დანარჩენები კი წამზე მეტით ჩამოიტოვა.


AFP ბარსელონიდან

პირველ დღეს „ნესვის მთის" ტრასაზე თერთმეტი-ვე გუნდის ოცმა მრბოლმა გაიჯირითა. ახალი ტექრეგლამენტით, მომავალი წლიდან იკრძალება ბოლიდებში პილოტების დამხმარე ელექტრონიკის, კერძოდ, ტრეკშენ-კონტროლის გამოყენება და ბარსელონაშიც ყველა, მართალია, წლევანდელი მანქანებით, ოღონდ გათიშული ავტომატიკით დაქრის.

შუმახერის მონაწილეობა ორდღიან ვარჯიშში, ცხადია, არ ნიშნავს, რომ იგი გაისად ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში აპირებს გამოსვლას: „ბედნიერი ვარ, ავტოსპორტისადმი ჩემი სიყვარული არ განელებულა, ხოლო „ფერარის" საჭესთან დაჯდომა მართლაც შესანიშნავია. მაგრამ მინდა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩემი შარშანდელი გადაწყვეტილება კარიერის დასრულებაზე საბოლოოა და ეს ტესტები არაფერს შეცვლის. მხოლოდ მსურს, გუნდს დავეხმარო ტრეკშენ-კონტროლის გარეშე პირველი ვარჯიშებისას."

საინტერესოა შუმახერის გაჯირითებაზე თითქმის მისი კბილა ვეტერანის დევიდ კულჰარდის კომენტარი: „როგორც ჩანს, მას თავისი ტალანტის მისხალიც არ მოჰკლებია. თუ იგი ფორმულა 1-ს დაუბრუნდება, ლიდერთა შორის იქნება. „მაკლარენი" ფერნანდო ალონსოს ადგილზე პილოტს ეძებს და მიხაელის სასარგებლოდ არჩევანი ფანტასტიკური გადაწყვეტილება იქნებოდა. როგორც პოლ მაკარტნის არასოდეს დაავიწყდება, როგორ იწერება შესანიშნავი მუსიკა, ზუსტად ასევე მიხაელი არასოდეს დაივიწყებს, როგორაა საჭირო ფორმულა 1-ის ბოლიდის პილოტირება".

**გია ახალაძე**

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

13 ნოემბერი

**ატლანტა 3:2 ფლორიდა**

*0:1 1:0 1:1 1:0 (ოვერტაიმში)*

0:1 პელტონენი (13), 1:1 უაიტი (21), 1:2 ბუტი (56), 2:2 პოსა (60), 3:2 კოვალჩუკი (61)

**სენტ ლუისი 4:3 დეტროიტი**

*0:2 4:0 0:1*

0:1 დაციუკი (5), 0:2 კლირი (17), 1:2 ტკაჩუკი (26), 2:2 პერონი (24), 3:2 პერონი (35), 4:2 მაიერსი (36), 4:3 ფილპულა (56)

**ტორონტო 3:4 მონრეალი**

*0:1 2:1 1:1 0:1 (ოვერტაიმში)*

0:1 მარკოვი (14), 1:1 ველვუდი (23), 2:1 ველვუდი (39), 2:2 კოსტიცინი (40), 3:2 დევერო (50), 3:3 კოვალიოვი (54), 3:4 კომისარეკი (61)

**კალგარი 3:2 მინესოტა**

*1:0 0:0 2:2*

1:0 ფანაფი (16), 1:1 კოივუ (44), 1:2 კოივუ (50), 2:2 იგინლა (51), 3:2 პუხელიუსი (60)

**ანაჰაიმი 4:3 ლოს ანჯელესი**

*2:1 1:0 0:2 0:0 (1:0 ბულიტებით)*

1:0 გეცლაფი (16), 2:0 მარჩანტი (17), 2:1 პრეისინგი (20), 3:1 პერკინსი (35), 3:3 კამალერი (54)

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ფილადელფია | 17 | 11 | 6 | 0 | 52:40 | 22 |
| რეინჯერსი | 17 | 9 | 7 | 1 | 34:30 | 19 |
| აილენდერსი | 14 | 9 | 5 | 0 | 40:41 | 18 |
| ნიუ ჯერსი | 17 | 7 | 8 | 2 | 40:49 | 16 |
| პიტსბურგი | 18 | 7 | 10 | 1 | 50:56 | 15 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 16 | 14 | 2 | 0 | 54:32 | 28 |
| მონრეალი | 17 | 10 | 4 | 3 | 53:42 | 23 |
| ტორონტო | 19 | 7 | 7 | 5 | 61:69 | 19 |
| ბოსტონი | 16 | 8 | 6 | 2 | 36:37 | 18 |
| ბუფალო | 16 | 6 | 9 | 1 | 44:50 | 13 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 18 | 11 | 4 | 3 | 68:48 | 25 |
| ტამპა | 17 | 8 | 8 | 1 | 54:54 | 17 |
| ატლანტა | 18 | 8 | 10 | 0 | 49:66 | 16 |
| ფლორიდა | 19 | 7 | 11 | 1 | 48:59 | 15 |
| ვაშინგტონი | 17 | 6 | 10 | 1 | 40:48 | 13 |

NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL

**დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 18 | 13 | 4 | 1 | 61:41 | 27 |
| ჩიკაგო | 17 | 10 | 7 | 0 | 51:49 | 20 |
| ნეშვილი | 17 | 9 | 7 | 1 | 48:48 | 19 |
| კოლუმბუსი | 17 | 8 | 6 | 3 | 43:40 | 19 |
| სენტ ლუისი | 15 | 8 | 7 | 0 | 39:37 | 16 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კოლორადო | 17 | 11 | 5 | 1 | 55:45 | 23 |
| მინესოტა | 17 | 9 | 6 | 2 | 45:41 | 20 |
| კალგარი | 18 | 7 | 8 | 3 | 52:58 | 17 |
| ვანკუვერი | 16 | 8 | 8 | 0 | 41:46 | 16 |
| ედმონტონი | 17 | 6 | 10 | 1 | 40:57 | 13 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| სან ხოსე | 18 | 9 | 7 | 2 | 46:42 | 20 |
| ანაჰაიმი | 19 | 8 | 8 | 3 | 46:54 | 19 |
| ლოს ანჯელესი | 17 | 8 | 8 | 1 | 55:56 | 17 |
| დალასი | 17 | 7 | 7 | 3 | 49:50 | 17 |
| ფინიქსი | 16 | 7 | 9 | 0 | 41:50 | 14 |


სიდნი კროსბი

ბომბარდირები: სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 27(10+17); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 27(13+14); მატს სუნდინი (ტორონტო) 25(9+16); ჯერომ იგინლა (კალგარი) 25(11+14); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 25(15+0); კორი სტილმანი (კაროლინა) 24(11+13); როდ ბრინდამორი (კაროლინა) 24(8+16); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 24(7+17); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 24(9+15); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 23(13+10); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 22(8+14); პოლ შჩასტნი (კოლორადო) 22(9+13); ჯასტინ უილიამსი (კაროლინა) 22(8+14).

გოლეადორები: კოვალჩუკი 15; ზეტერბერგი, ალფრედსონი 13-13; ერიკ სტაალი (კაროლინა), მაიკლ კამალერი (ლოს ანჯელესი) 12-12; იგინლა, ვაცლავ პროსპალი (ტამპა), რიკ ნეში (კოლუმბუსი), სტილმანი, ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 11-11; კროსბი, მაიკ რიჩარდსი (ფილადელფია) 10-10.

ასისტენტები: კროსბი, მალკინი 17-17; ბრინდამორი, მეტ კალენი (კაროლინა), სუნდინი 16-16; მარტინ სენ ლუი (ტამპა), ლეკავალიე, ალექს ტანგეი (კალგარი) 15-15; უილიამსი, ალექსანდრ ფროლოვი (ლოს ანჯელესი), ზეტერბერგი, იგინლა, ტორნტონი, პაველ დაციუკი (დეტროიტი), პატრიკ კეინი (ჩიკაგო) 14-14.

ნაყოფიერების კოეფიციენტი: კრის ფილიპსი (ოტავა) 16; ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 15; ანტონ ვოლჩენკოვი (ოტავა) 11; ზეტერბერგი, ვოიტეკ ვოლსკი (კოლორადო), დენი ჰიტლი (ოტავა) 10-10.

*მეკარეები*

გაშვებულ შაიბათა საშუალო მაჩვენებელი: დენ ელისი (ნეშვილი) 1,35; პასკალ ლეკლერი (კოლუმბუსი) 1,55; კრის ოსგუდი (დეტროიტი) 1,59; ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი) 1,62; ტიმ ტომასი (ბოსტონი) 1,65; მარტინ გერბერი (ოტავა) 1,73; კრისტოფ იუე (მონრეალი) 2,07.

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: ელისი 95,2; ტომასი 95,0; ლეკლერი 94,4; გერბერი 94,3; ლუნდკვისტი 94,0; მარტინ ბირონი (ფილადელფია) 93,5; იუე 93,1; ოსგუდი 93,1.

მოგებული მატჩები: გერბერი 11; ბირონი 10; კემ უორდი (კაროლინა), ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 9-9; ოსგუდი, იოჰან ჰოლმკვისტი (ტამპა), ლუნდკვისტი, რიკ დიპიეტრო (აილენდერსი) 8-8.

მშრალი მატჩები: ლეკლერი 5; ლუნდკვისტი 4; ბირონი, ნაბოკოვი, ელისი, ნიკლას ბეკსტრომი (მინესოტა) 2-2.

სუმო

# აიწონა-დაიწონა

## კოკაი მოგებას წაგებას უნაცვლებს

**სეზონის** დასკვნითი ბაშოს ოთხი ტურის შემდეგ ხუთი ევროპელი რიკიშის ანგარიშზე 2-2 ქულაა. ერთადერთი, ვინც ამ კვინტეტს არ შეუერთდა, ესტონელი ბალტოა, რომლის წამქცევიც ფუკოუკურ ბაშოზე ჯერ არავინაა. კაიდო ჰიოველსონის წარმატებით ესტონელებმა გაიხარონ, ჩვენ კი ჩვენს ლევან ცაგურიაზე ვთქვათ. კოკაის გუშინ ერთქულიანი დადებითი ბალანსი ისევ გაუნიავდა. ორქულიანმა „შავმა ზღვამ" მეორე მარცხი 32 წლის კასუგანისიკისგან იწვნია. დღეს კოკაი თავისსავით მაეგაშირა ვაკაკირინს დაეჭიდება და იმედია, მოგება-წაგებათა მონაცვლეობას მაინდამაინც ამ ტურში არ დაარღვევს.

იმპერატორის თასისკენ კი ყველაზე ლაღად ბალტის გარდა, ოძეკი ტიოტაიკაი და მაეგაშირა ვაკანოსატო მიიწევენ. გუშინ ამ სამეულიდან ყველაზე მეტად ტიოტაიკაის გაუჭირდა. კუმუსუბი ამმ იგი მძლავრი ცუპარებით — კორპუსში ხელის კრით — სულ დოჰიოს კიდეზე ატარა, მაგრამ გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და ოძეკიმ მომგებიანი კონტრილეთით გაიხარა.

ასპროცენტიანი ტრიოს უკან სამქულიანი იოკოძუნა ხაკუხოა. „თეთრმა ფენიქსმა" მეოთხე ტურში იშვიათ ტალანტად მონათლულ კისენოსატოს აჯობა. ასევე სამ-სამი ქულა აქვთ ოძეკებს — კოისა და კოტომიცუკის, აგრეთვე სეკივაკე ასასეკირიუს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნინო სილაგაძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ძორძოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლეჯაშვილი, ბადრი კვიცაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge